

# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1972 წ.



ვ. ი. ლენინი „ისკრის" პერიოდში.

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



11813

# გილოცავთ ახალ წელს!

ნაზი კილასონია

## მშვიდობავ შენს მოსვლას

ქარმა რომ სიმღერა შეალია —
ეს ხომ მისი ფარჩის შრიალია.
თოვლში რომ ვიღაცას გაუვლია —
ეს ხომ მისი ეტლის ხმაურია.
გზებზე რომ ბროლია დაფენილი —
მისი ხელითაა დაფერილი.
თმები რომ ჭეპლებით გავსებია —
ეს მისი ლეჩაქის ბასმებია.
ეჰეი, მთებო და გრეხილებო,
ზამთრით შეფეთქილო ხეხილებო,
ვინ, ვინ დაგაყარათ ყვავილები,
ვინ გადაგითოვლათ ყამირები?
ეს ვისი ხმაა და ხარხარია —
აღარა გვსმენია რა ხანია.
ეს წელი ახალია, ახალია,
მშვიდობა შენს მოსვლას მახარია!
ბარაქა, ხვავი და ხვავრიელი!
მრავალი, კეთილი ჟამიერი!
მრავალი, მრავალი ჟამიერი!

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება



ეს ყველასათვის ცნობილი ეთერ ხოლომონიაა, ფაბრიკის თვალი, სოციალისტური შრომის გმირი, ოქროს ვარსკვლავის კავალერი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი... უბადლო ფეიქარი 24 დაზგაზე ქსოვს და ხუთი დღის გეგმას ორ დღეში ასრულებს.

ლიდა ციცქიშვილი, საკავშირო მასშტაბის ფრიადოსანი ფეიქარი, 35 წელია მქსოვლავად მუშაობს, ყოველთვის პირველი ხარისხის ქსოვილს უშვებს და გეგმას 150-160 პროცენტით ასრულებს.



ეს ქალები თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივის წევრები არიან, იმ კოლექტივისა, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ." ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე გასანაღდებლად, მასობრივი ხასიათი მიიღო თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში. სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი თავდადებული შრომით საფუძველს უყრიან მეცხრე ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულებას.



რვა წლის წინათ დატოვა სვანეთის ზღაპრული კოშკები **ლეილა ვიბლიანმა** და დედაქალაქში ჩამოვიდა. მთაში გაზრდილმა ქალიშვილმა თავისებური რომანტიკა დაინახა მქსოველის პროფესიაში და საფუძვლიანად დაეუფლა მას. იგი ახლა 18 დაზგაზე მუშაობს და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს — ლამარა ბანეთიშვილს ეჯიბრება. ლეილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია და პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად მოსკოვის პროფკავშირული მოძრაობის უმაღლეს სკოლაშიც სწავლობს.



**ნანა პაპოშვილი** დიდი ხანი არ არის, რაც ფაბრიკაში მოვიდა სამუშაოდ, მაგრამ უკვე გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო მქსოველმა. მან გადაწყვიტა 5 დღის გეგმა 4 დღეში შეესრულებინა და გაამართლა კიდეც — 1971 წლის გეგმა ცხრა თვეში შეასრულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მიწის სიყვარული

ალმართს პატარა თმათეთრი ქალი მიჰყვება, წლები არ ეტყობა მის ნაბიჯებს. ეს მისთვის ჩვეული გზაა. ასე უვლია დარში და ავდარშიც, ასე დადის ახლაც, მაშინაც კი, როცა ღრუბლები ფერდობის თავზე ჩამოწვება და მის წიაღში იკარგება მწვანით შექოჩრილი მთები. ხელით მიწვდები იმ მთების კალთებს, ისე ახლოა. შემოდგომის ფერმკრთალ მზეს ჯანღი აუკრეფია და მხოლოდ მთის მწვერვალს მოვანებია ღრუბლის პატარა ქულა. ქვემოთ მოხის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობის ყანები გადაშლილა. ამ მიდამოებს უწყლობის გამო ტანმორჩილი ყანები სჩვევია. იქ, სადაც სარწყავი წყალი არ უდგება, პირი უშრება მესხეთის მიწას. ამიტომ არის, რომ ადიგენის რაიონი ახლა არხებით იქსელება. ფერდობებსაც შველიან, წყალსაქაჩებს დგამენ და ისე რწყავენ ნათესებს. კარო ყურაშვილს სჯერა, რომ მალე მის დამუშავებულ ყანებსაც სარწყავი წყალი მოათქმევინებს სულს. ჯერჯერობით კი ამ მიწას ბუნების მადლი და კაროს მუშა ხელები უდგამენ სიცოცხლეს.

ორმოცი წელია კაროს ხელებში ფეთქავს დედამიწის ძარღვი, ძარღვი, რომელიც შემოდგომაზე კარტოფილის, კომბოსტოს, ჭარხლის, სიმინდის ცენტნერებად, ტონებად იქცევა. მიწას მოვლა უნდა: მან შიმშილიც იცის, წყურვილიც, გაკერპებაც. მიწა სულიერია და უსულგულობა ეჯავრება. ადრეულ გაზაფხულზე მესხეთის მიწა ჭაობს ემსგავსება. კარო ამ დროს ფართობში გადის, წყალს გზას უკვალავს და ნიადაგს ამზადებს, მერე მიწას თესლს მიაბარებს, ზოგან სიმინდს, კარტოფილსა და ჭარხალს დათესავს, ზოგან კომბოსტოს ჩითილებს დარგავს.

როცა მოსავალი პირს იჩენს, კარო კვლებში სასუქებს შეიტანს; მისი ბასრი თოხით ღრმად ჩაითოხნება მიწაში აზოტი და ფოსფორი, ძირიანად ამოიძირკვება სარეველები. მეორედ გათოხნამდე მესხეთში მცხუნვარე ზაფხული დგება. ჰაერი შრება, მიწას წყურია. მაშინ კარო კარტოფილის, კომბოსტოს, ჭარხლის ნათესებს დატრიალებს, ეს ნათესები დაბლობშია და წყალი უდგება. მერე იცით, როგორ იხარჯება მესხეთში წყალი? მორიგეობით, ჯერ ერთი მეურნე მოუკლავს წყურვილს ყანებს, მერე — მეორე, მესამე...

კარო ორ-სამჯერ რწყავს ნათესებს, კვლებში დგება, გზას აძლევს და ანაწილებს წყალს. მერე მეორედ გათოხნის კულტურებს, რომ სარეველებმა არ შეავიწროვონ, საკვები, ჰაერი და წყალი არ წაართვან. ბარაქიანია მისი ხელებით დამუშავებული მიწა! 1970 წელს ნავარაუდევი 7 ტონის ნაცვლად კარომ 14 ტონა სასილოსე სიმინდი აჩეხა. 1 200 კილოგრამის ნაცვლად 2.200 კილოგრამი კარტოფილი ამოიღო, 700 კილოგრამის ნაცვლად. 4 200 კილოგრამი კომბოსტო მოიყვანა. შარშან უფრო დიდი ფართობი დაამუშავა და ალოსთავიც უფრო ბარაქიანი ჰქონდა.

ხალხი და მთავრობა აფასებენ კარო ყურაშვილს, მის თავდადებულ შრომას. კარო სოფელში პატივცემული ქალია, 8 შვილის გამზრდელი და გზის მაჩვენებელი. ის ხუთჯერ იყო არჩეული ადიგენის სადაბო საბჭოს დეპუტატად. კარო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო მედლით დააჯილდოეს, შემდეგ კი საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭეს.

ცისანა ქორჟოლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არა, ეს არ იყო მოდა!

ელენა მიკულინა

(დასასრული)

მდუმარედ ვიდექი კართან. ველოდი, რომ ვილაც მოვიდოდა, სადღაც წამიყვანდა, რაღაცას მკითხავდა...

ფერმკრთალმა კაცმა წუთით თავი მაღლა ასწია და პირდაპირ შემომხედა:

— მიკულინა ხართ, არა? — შემეკითხა ის. — მიბრძანდით. — ხელით მარჯვნისაკენ მიჩვენა და ისევ ტელეფონების მილებს მიუბრუნდა. მე ისევ კართან ვიდექი. „რა თქვა ამ კაცმა? ალბათ ჩემთვის კი არ მოუმართავს, არამედ ვილაც სხვას უთხრა, ტელეფონით ვინც რეკავს".

მოულოდნელად კარი გაიღო და შემოვიდა მაღალი, გამხდარი კაცი, რომელსაც ხელში პირსახოცი ეჭირა. მან სახე შეიმშრალა, შემომხედა და კითხვა გაიმეორა:

— მიკულინა ხართ, არა? — მიბრძანდით. — და ისევ დახურულ კარზე მანიშნა.

— მარტო?

პირსახოციანი კაცი მომიახლოვდა, თავი გვერდზე ისე გადასწია, თითქოს ფრინველმა რაღაც უცხო ხოჭოს მოჰკრა თვალიო და წვრილი, დამცინავი ხმით თქვა:

— ახლავე გადის დავუძახებთ.

შემდეგში გავიგე, რომ კაცი, რომელიც ასე შემხვდა, ტოვსტუხა იყო, ხოლო ფერმკრთალი კაცი ტელეფონებთან — პოსკრებიშევი. მაშინ მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობდი: მე დამცინიან. გამოვიყურები ჩერჩეტ ქალიშვილად. ასე ერთ წუთსაც აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

ფერწასული სწრაფად გავემართე სტალინის კაბინეტისაკენ.

კარი უხმაუროდ გაიღო. კაბინეტში არავინ იყო. ერთბაშად მიმოვავლე თვალი იქაურობას. მარცხნივ ვეებერთელა მასიური, მწვანემაუდგადაკრული მაგიდა იდგა. ირგვლივ მაღალზურგიანი სკამები ჰქონდა შემოწყობილი, კედელზე, მაგიდის ზემოთ, საბჭოთა კავშირის დიდი რუკა ეკიდა. მარჯვენა კედელს ფანჯრები ჰრიდნენ, კუთხეში, ბოლო ფანჯრის პერპენდიკულარულად საწერი მაგიდა იდგა, მის ახლოს კი — მასიური ტყავის სავარძელი.

გავიდა ერთი წუთი, მეტი არა, მაგრამ ისე მეჩვენებოდა, თითქოს ამ ოთახში უხსოვარი დროიდან ვიდექი.

და უეცრად თვალი მოვკარი კაცს, ხალიჩაზე უხმაუროდ მიაბიჯებდა, სულ უფრო შორს და შორს მიდიოდა. ერთბაშად შემობრუნდა და ჩემსკენ წამოვიდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ვნახავდი ისეთ სტალინს, როგორიც პორტრეტებზეა: ტილოს კოსტიუმში ან სამხედრო კიტელში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ბუმბერაზია. ჩემსკენ კი მოდიოდა დაბალ-დაბალი მამაკაცი, რომელსაც სამოქალაქო კოსტიუმი ეცვა. მისი პერანგის თეთრი საყელო ხაზს უსვამდა შავგვრემან ნაყვავილებ სახეს.

სტალინი მთლად ახლოს მოვიდა, ხელი გაიშვირა:

— მობრძანდით.

აბა საიდან მეცოდინებოდა, რომ ჩემს მისვლამდე ათი წუთის წინ კაბინეტში ინგლისელი მეშახტეების დელეგაცია იყო, რომ სტალინი მათ ერთ საათზე მეტ ხანს ესაუბრებოდა, რომ სამოქალაქო კოსტიუმი სწორედ ამიტომ ეცვა. გულგატეხილი ვიყავი, კალაპოტიდან ამოვვარდი.

ტყავის სავარძელი კანს მიცივებდა. პირი გამიშრა. „რად მოვედი აქ? რა უაზროა ყველაფერი, რაც მე მემართება!"

სტალინი ჩემს პირდაპირ იჯდა და ნელა უკიდებდა ჩიბუხს. კვამლი რომ გაუშვა, ჩემსკენ გადმოიხარა.

— მე გისმენთ, — თქვა მან.

— მე ვშიშობ...

სტალინმა შუბლზე ხელი მოისვა და გაიცინა. ამ სიცილმა შიში გამიფანტა. ენა ამოვიდგი, ლაპარაკი დავიწყე, უფრო სწორად, ჯერ კითხვებს ვპასუხობდი. კითხვები ლაკონური იყო: სად დავიბადე, სად ვსწავლობდი; ვინ შემიკვეთა წიგნი, ვინ მირჩია, რომ მეწერა, ყველაფერი, რაც მე დავწერე სწორია თუ არა.

ამის შემდეგ სტალინმა მკითხა:

— რას აპირებთ მომავალში? სად გინდათ გაემგზავროთ?

იმ ხანებში თურქესტან-ციმბირის რკინიგზის („ტურკსიბის") მშენებლობა მიმდინარეობდა. გაზეთები სავსე იყო ცნობებით ამ უჩვეულო მშენებლობის შესახებ. მე მიზიდავდა ბარხანები, უკიდეგანო ტრამალები, ადამიანები, რომლებიც ამ უდაბნოში რელსებს აწყობდნენ.

— მინდა „ტურკსიბის" მშენებლობაზე წავიდე. — ვთქვი მტკიცედ. და შევეცადე სწრაფად მეთქვა ის, რასაც ვფიქრობდი:

— თქვენ წარმოგიდგენიათ იქ რა იქნება? გაიყვანენ გზას. ტრამალი გაცოცხლდება. მომთაბარე ტომები რკინიგზის ორთავე მხარეს დასახლდებიან. წარმოიქმნებიან ქალაქები, დაბები...

მაგრამ აზრის დამთავრება ვერ მოვასწარი. უეცრად მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები, ხელების ქნევა სავსებით უადგილოა, და ისე გავჩუმდი, რომ ფრაზა არც კი დამისრულებია.

სტალინი ჩემსკენ არ იცქირებოდა.

— ისტორია გვიჩვენებს, — წყნარად თქვა მან, — დასახლდებიან თუ უფრო შორს წავლენ... არა, — უეცრად კატეგორიული ტონით თქვა მან, — თქვენ „ტურკსიბის" მშენებლობაზე წასვლა არ გინდათ!

— მაშ, სად? — კითხვა წუწუნის ტონით გაისმა. სტალინმა როგორღაც ირიბულად შემომხედა, თვალი ოდნავ მოჭუტა და თითქოს მე არაფერიც არ მეკითხოს, სწრაფად თქვა:

— საჭიროა ვოლგისპირეთ მხარეში გაემგზავროთ. იქ აყალიბებენ საბჭოთა მეურნეობებს, ხუთ საბჭოთა მეურნეობას. იქ ენთუზიაზმია! იქ ადამიანები ღამითაც კი ფანრის შუქზე თესავენ.

ვოლგისპირეთი მხარე სრულებით არ მიზიდავდა. არაფერი გამეგებოდა სოფლის მეურნეობისა. ამ დავალების თავიდან აშორების ინსტიქტურმა სურვილმა კითხვა მიკარნახა:

— მე იქ ვინ გამაგზავნის? „რაბოტნიცა" სოფლის მეურნეობის საკითხებს არ აშუქებს.

— გაგაგზავნიან, — მტკიცედ თქვა სტალინმა.

მაგრამ მე გარკვეულობა მჭირდებოდა.

— მაგრამ ვინ? — გავიმეორე.

და სტალინმა ისევ თქვა ერთი სიტყვა — „გაგაგზავნიან", ის წამოდგა, რათა ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ ნამუსიც კარგი საქმეა: მოიკალათა ქალიშვილმა სავარძელში და მზადაა კიდევ დიდხანს ისაუბროსო.

ჩვენი საუბარი, ჩანს, იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. კაბინეტში ორჯერ შემოიხედა ტოვსტუხამ, თითქოს სტალინს რაღაცას მოაგონებდა, და შემდეგ უხმოდ ქრებოდა. მაგრამ მაშინაც, როცა მაგიდიდან კარისაკენ მივდიოდით, სტალინი საუბარს განაგრძობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეგობრები თქვენ ბევრი გყავთ? — მკითხა.

გამახსენდა მიტია მატვეევი, მაგრამ მყისვე უარვყავი ეს აზრი. ის ხომ უკვე აღარ იყო ჩემი მეგობარი.

— მოსკოვში ახალი ჩამოსული ვარ. მე არავის ვიცნობ.

— საჭიროა ირგვლივ შემოვიკრიბოთ ადამიანები. — დარიგების კილოთი თქვა სტალინმა. — ჩვენ ბევრი ახალგაზრდა, გამჭრიახი თვალი გვესაჭიროება. კარგი იქნებოდა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, გაგვეგზავნა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ათასობით ახალგაზრდა ადამიანი, იმის უნარიანი, რომ მოეთხროთ — როგორ ცხოვრობს, რით სუნთქავს ხალხი.

ჩემი მარტოობისა შემრცხვა და ამოვღერღე სიტყვები:

— მე ჯერ ახალგაზრდა ვარ...

სტალინი შეჩერდა:

— სისულელეა! ტახტზე მეფეებად თექვსმეტი წლის ახალგაზრდებს სვამდნენ... გისურვებთ წარმატებებს, — მოულოდნელი სიმკაცრით თქვა მან, ხელი ჩამომართვა და დაუმატა: — გმადლობთ იმისათვის, რომ მართალი დაწერეთ დიად შრომით აღმავლობაზე.

სტალინთან საუბრიდან სამი დღის შემდეგ მისმა თანაშემწემ გადმომცა წინასიტყვაობა, რომლის დაწერასაც სტალინი შემპირდა.

ტექსტს ჰქონდა ხელმოწერა და თარიღი: 1929 წლის 11 მაისი.

თუ ანალიზს გავუკეთებთ იმას, რასაც მაშინ ვგრძნობდი, მთავარი ორი რამ იყო: პირველი, მიტია მატვეევზე და გამომცემლობის რედაქტორზე გამარჯვების სიხარული; პირველი მათგანი ამტკიცებდა, რომ ყველაფერი, რაც მას მოვუთხრე, ბოდვაა; მეორეს კი ეჭვი ეპარებოდა — შეიძლებოდა თუ არა შეჯიბრებაზე წიგნის დაბეჭდვა. მეორეც და ეს იყო ძირითადი, მთავარი, თავბრუდამხვევი სასიხარულო შეგრძნება: თურმე ის რისი დანახვაც შევძელი, მნიშვნელოვანია მთელი ქვეყნისათვის. მაშასადამე, მომავალშიც ასე უნდა ვხედავდე. მე ხომ სწორედ ამის ცოდნა მჭირდებოდა, როცა ხელნაწერი ცენტრალურ კომიტეტში შევიტანე.

ქაღალდის ფურცლები, ხელში რომ მეჭირა, დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. — გამომცემლობისაკენ გავემართე.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემი პირველი წიგნის რედაქტორი, ალბათ ცოცხალიც აღარ არის. ძალიან ბევრი ხანი გავიდა იმ დღიდან, როცა მე მის კაბინეტში შევედი და პირდაპირ დავჯექი. ვეღარ ვითმენდი, მინდოდა მყისვე დამედო მაგიდაზე წინასიტყვაობა. მაგრამ რედაქციაში მუშაობის თითქმის ერთმა წელმა ერთგვარი თავდაჭერილობა მასწავლა. ჩვენი საუბარი ასე წარიმართა:

მე: როდის ფიქრობთ დაბეჭდოთ ჩემი ბროშურა „მასების შეჯიბრება“?

ის: არ ვიცი. ქაღალდი არა გვაქვს. და საჩქაროც არაფერია.

მე: ქაღალდი რომ აღმოჩნდეს? რა ტირაჟით დაბეჭდავთ?

ის: ალბათ, ასე ხუთიათასს.

მე: რას იზამთ, მაგიდაზე რომ დაგიდოთ სტალინის წინასიტყვაობა?

რედაქტორმა სწრაფად და დაკვირვებით შემომხედა. ვფიქრობ, მან გადაწყვიტა: უაზრო, უხეში ხუმრობააო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის სერიოზულად მიპასუხა:

ის: ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ დავბეჭდავთ, ორ კვირაში.

მე: რა ტირაჟით?

ის: ასი ათასს.

რად ვეკითხებოდი ტირაჟზე — ვერ გამიგია. მაშინ მე როდი ვიცოდი, რომ ჰონორარი ტირაჟზეა დამოკიდებული, და დროც სხვანაირი იყო; ავტორებს მგონი ჰონორარს ისე არ უზდიდნენ, როგორც ახლა; თანხა ძალზე უმნიშვნელო იყო. რედაქტორს კითხვებს ვაძლევდი უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო, შარზე ვიყავი, მინდოდა გამეგონა — კაცი ერთსა და იგივე კითხვას როგორ უპასუხებდა ორჯერ, სხვადასხვანაირად.

რედაქტორი მომჩერებოდა, იცდიდა.

— აი, წინასიტყვაობა, — ვთქვი და გავუწოდე ორი ფურცელი.

საკვირველი რამ მოხდა: ჩემს წინ ეს-ეს არის იჯდა სკამზე კაცი და უცებ გაქრა. ხელმოწერას თვალი მოკრა თუ არა, რედაქტორი წამოვარდა, თითქოს კაბინეტიდან აორთქლდაო. იყო კაცი და აღარ არის.

სად გაიქცა, არ ვიცოდი. ახლა კი ვხვდები: დირექტორთან. დაბრუნდა ნახევარი საათის შემდეგ შუბლშეჭმუხნული, საქმიანი. ხელი მაგრად ჩამომართვა და თქვა:

— ყველაფერი წესრიგზეა. — ცოტა ხანს ჩუმად იყო და ქვედა ბაგეს იკვნეტდა, შემდეგ როგორღაც თხოვნის კილოზე დაუმატა: — არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ თქვენთან მუშაობა წინასიტყვაობამდეც გვინდოდა, ჩვენ თქვენთან ხელშეკრულება გვქონდა დადებული...

მე არაფერს ვამბობდი.

რედაქტორმა თვალები მოხუჭა და ისევ გაახილა:

— დიახ, დიახ, ხელშეკრულება თქვენ ჯერ კიდევ არ გინახავთ, მაგრამ გამომცემლობამ იგი დიდი ხანია უკვე შეადგინა. თქვენ მხოლოდ ხელი უნდა მოაწეროთ მას...

ასე დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში — გავიგე, რომ ბევრ ადამიანს, როგორც მედალს, ორი მხარე აქვს.

მხოლოდ კეთილი პოდსოცკაია დარჩა ისეთივე, როგორიც მაშინ იყო, როცა პირველი დავალება მომცა. ქალური ცნობისმოყვარეობა მასაც ახასიათებდა და, ცხადია, გამომკითხა ყველაფერი ცენტრალურ კომიტეტში მომხდარ უჩვეულო შეხვედრის თაობაზე; მისმენდა ხელზე ლოყადაყრდნობილი და დროდადრო ხვნეშოდა. მაგრამ როცა თხრობა დავამთავრე, „რაბოტნიცას“ მორიგი ნომრის მაკეტი ახლოს მიიჩოჩა და მითხრა:

— შენ კი მასალა ჯერ არ ჩაგიბარებია. იცოდე, ხვალ უკანასკნელი ვადაა.

სხვაგვარად მოიქცნენ სხვა რედაქციების მუშაკები.

დილაადრიანად, როცა ჩემს ნომერში ის-ის იყო ვამთავრებდი წერას იმაზე, თუ როგორ მოითხოვა ზინა სობოლევამ კომკავშირული ბრიგადის შექმნა, კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

შემოვიდა ძალზე ელეგანტური ახალგაზრდა; ის ლამაზიც კი იყო. გამაცნო თავი.

— „ოგონიოკის“ რედაქტორის მოადგილე ლეონიდ რიაბინინი.

განცვიფრებით მოვისმინე წინადადება, რომ ჟურნალის უახლოეს ნომერში გამომექვეყნებინა ჩემი ბროშურის წინასიტყვაობა. საიდან გაიგო წინასიტყვაობა რომ მქონდა? როგორ გაიგო ჩემი მისამართი?

მაგრამ ამ კითხვების მიცემა ვერ მოვასწარი, ისევ გაისმა კარზე კაკუნი და დერეფნის მორიგის ძახილი: „მიკულინა, ტელეფონთან!“ მე დერეფანში გავედი და რიაბინინს ისღა დარჩენოდა, რომ ეთვალიერებინა ჩემი ღარიბული საცხოვრებელი, სკამზე მიმობნეული ტუალეტის ნივთები.

მირეკავდნენ „იზვესტიადან“, შემდეგ — „პრავდიდან“, მერმე — რამდენიმე სხვა გაზეთიდან და ჟურნალიდან. ეს სასაცილო იყო: შევირბენდი ოთახში, ჩემი სტუმარი შეეცდებოდა შეტევის გაგრძელებას, მე კი ისევ ტელეფონთან მეძახდნენ.

რიაბინინი ნერვიულობდა. ბოლოს, წუთით დრო ვიხელთე და ვუთხარი:

— მოითმინეთ ხვალამდე. მე დაგირეკავთ.

ის გალიმებული წავიდა, მე კი ხელი ვტაცე დაუმთავრებელ შენიშვნას და „რაბოტნიცას“ რედაქციაში გავიქეცი. როცა იქ საქმე მოვათავე, დავურეკე ტოვსტუხას:

— როგორ მოვიქცე? განა მე უფლება მაქვს წინასიტყვაობა იმას მივცე, ვისაც მინდა? რატომ არ მაძლევენ მოსვენებას? რა ვქნა?

პასუხი იყო უაღრესად უბრალო და დამაჯერებელი:

— ყურადღებას ნურავის ნუ მიაქცევ. დაე, მე მომმართონ.

რჩევა ბრძნული და ადვილად შესასრულებელი იყო. მეტი აღარავის შევუწუხებივარ. რამდენიმე დღის შემდეგ კი სტალინის წინასიტყვაობა „პრავდის“ ფურცლებზე ვნახე. იგი დაბეჭდილი იყო მთლიანად, თანაც მითითებული იყო ჩემს ბროშურაზე.

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. მაგრამ ცხოვრება ადასტურებს, რომ სოციალისტური შეჯიბრება მასების საქმიანი ინიციატივის გამოვლინებაა. არა, შეჯიბრება არ იყო მოდა, ის არ ჩამქრალა. ის ათეული წლების მანძილზე იკრებდა ძალას, უფრო ღრმა და მომწიფებული ხდებოდა, და ჩვენ ახლა მას ვხედავთ მშრომელთა მილიონიანი მასების მისწრაფებაში — იშრომონ კომუნისტურად.

ასეთი მსჯელობის საფუძველს განვლილი წლების გამოცდილება მაძლევს.

თარგმნა ბორის ნანიტაშვილმა

# მისი ხელების სითბო

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი" რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოა. ამ ჯერად მის გამოშვებულ პროდუქციაზე კი არ გვექნება ლაპარაკი, არამედ იმ საბავშვო ბაღზე, რომელიც ფაბრიკასთან არსებობს.

საბავშვო ბაღს ოცდათოთხმეტი წელია კეთილსინდისიერად და თავდადებით ხელმძღვანელობს ქეთევან გედევანიშვილი. იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელსაც ფაბრიკის შემოგარენს უწოდებენ, თითქმის ყველა იცნობს ქეთევანს, ხნიერიც და ახალგაზრდაც. მოწიწებით ესალმებიან მისი აღზრდილები, რომელნიც უკვე ჩამოყალიბებული მოქალაქეები არიან, ღიმილით მისჩერებიან კუდრაჭა გოგო-ბიჭები, სიყვარულით კითხულობენ ბავშვების მშობლები.

— ბავშვების ღალატი არ შეიძლება. მათთან გულგრილად მუშაობა პირდაპირ დანაშაულია, — ამბობს ხოლმე ქეთევანი, — ნამდვილად უნდა გიყვარდეს პატარები, რომ მათ სულში ჩაიხედო...

მშვენიერი ორსართულიანი ბაღის ტიპიური შენობა, წალკოტად ქცეული ეზო პატარების სავანეს წარმოადგენს.

ათასგვარი სათამაშოებით ავსილი ეზოდან დეკორატიულ ხეივანს შენობის ვესტიბულში შევყავართ. ყველგან წესრიგი და სისუფთავეა.

აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ პატარები გონებრივად განვითარებულნი წავიდნენ სკოლებში. აქ ასწავლიან და აცნობენ თვლა-ანგარიშს, სახვითი ხელოვნებისა და ძერწვის ნიმუშებს. საყურადღებოა „მეტყველების გასაუმჯობესებელი" კუთხე, სადაც ბავშვებს რამდენჯერმე ამეორებინებენ ძნელად წარმოსათქმელ ბგერებს. ბაღში აქვთ აკვარიუმი და ბავშვები თვითონ კვებავენ და უვლიან თევზებს, გაზაფხულობით მოჰყავთ აბრეშუმის ჭია, ცოცხალ კუთხეში ახარებენ ყვავილებს.

— ბავშვებს უნდა უყვარდეთ შრომა და ესმოდეთ მისი ფასი, — ხშირად ამბობს ქეთევანი.

დღევანდელი დღით კმაყოფილი ქეთევანი წარსულში მახედებს. მის მუშაობაში ყველაზე მძიმე წლებს, ომის წლებს იგონებს:

— ნეტა იცოდეთ, როგორი ძნელი იყო მაშინ საბავშვო დაწესებულებებში მუშაობა. არა, მუშაობა იმ წლებში ყველგან ჭირდა,





ქეთევან გედევანიშვილი ბავშვებთან

ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ მაშინდელი პატარების დაძაბულ, შეშინებულ თვალებს რა დამავიწყებს, რაღაც საშიშროების მოლოდინით რომ იყვნენ შეპყრობილნი. მაშინ არავინ, არც ერთი ჩვენთაგანი არ ფიქრობდა საკუთარ თავზე, საკუთარ სიამოვნებაზე, მხოლოდ ერთს ვფიქრობდით ყველა, არაფერი მოჰკლებოდათ ბავშვებს.

ქეთევანს ომის წლებში ასეთი წესი ჰქონდა შემოღებული: ყველა პედაგოგი ვალდებული იყო ბავშვის ულუფის მონარჩენი — რაც არ უნდა ყოფილიყო იგი, აღერიცხა, ბავშვის სახელი და გვარი წაეწერა და ისე შეენახა მომდევნო კვებისთვის. დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა ქეთევანს, ხშირად ბავშვები მთელი ღამეებით რჩებოდნენ ბაღში, საწარმოები შეუჩერებლივ მუშაობდნენ. ყველაფერი ფრონტისთვის კეთდებოდა.

* * *

სულ ახლახან ქეთევანის ახლობლებმა და კოლეგებმა მისი დაბადების 60 წლისთავი აღნიშნეს. იმ დღეს ყველაზე მეტად ქეთევანი მისი აღზრდილების მილოცვებმა გაახარა, პედაგოგი ამაში თავის უანგარო შრომის საზღაურს ხედავდა. მილოცვები მოვიდა სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდანაც. თითქმის ყველა ბარათი ერთნაირად იწყებოდა: „ჩემო საყვარელო მეორე დედავ"... ქეთევანმა რამოდენიმე საგულისხმო ბარათი გამოარჩია, ერთ-ერთი მოსკოვიდან იყო გამოგზავნილი, და-ძმა ნელი და ვიქტორი აწერდნენ მას ხელს.



ბავშვებს მამა ადრე დაეღუპათ, დედამ დანაშაული ჩაიდინა და საბრალდებულო სკამზე მოხვდა, უპატრონოდ დარჩენილი პატარები ქეთევანმა შეიფარა. როცა წამოიზარდნენ, ნათესავებმა მოიკითხეს და მშობლიურ ქალაქ მოსკოვში წაიყვანეს. ვიქტორი ბიძამ საფრენოსნო სკოლაში მიაბარა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა თურმე, შემდეგ სწავლა სამხედრო აკადემიაში გააგრძელა და სასახელო მოქალაქე დადგა.

ვინ მოსთვლის რამდენ გულთბილ ბარათს, რამდენ სითბოსა და სიყვარულს იტევს ქეთევანის ვეებერთელა ალბომები.

მის პირად არქივს მთავრობის ჯილდოებიც ამშვენებს.

„ჩემო საყვარლებო, ჩემო კარგებო“, — ასე ხვდება თავის აღსაზრდელებს ყოველ დილით ქეთევანი, მუდამ ტკბილი, მუდამ თბილი, სწორედ ისეთი, როგორიც პატარების უმანკო სულს სჭირდება, სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი აღმზრდელი.

თქვენი თბილი ხელები, თქვენი ალერსიანი თვალები არასოდეს დაავიწყდებათ ბავშვებს, ქეთევან მასწავლებელო!



ნანული ბუკია

# გილოცავთ ახალ წელს

რედაქციამ გადაწყვიტა, 1972 წელი მიელოცა მრავალშვილიანი დედებისათვის.

პირველად თბილისელ ათი შვილის დედას ანტონინა გეგელიას ვესტუმრეთ. ჩვენი გმირი ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმოგვედგინა: ენერგიული, მოქნილი და მოუსვენარი, მაგრამ ამ ბინაში გამეფებულმა სიჩუმემ და იდეალურმა სისუფთავემ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეჭვიც დაგვებადა, ვაი თუ სხვაგან მოვხვდით-მეთქი, ჩვენი ეჭვი არც იყო უსაფუძვლო, რადგან, არა ერთხელ ვყოფილვართ ერთი შვილის დედასთანაც, სადაც განებივრებული ბავშვის ჭირვეულ ტირილს აუკლია იქაურობა, ან ოთახში უწესრიგოდ მიმოფანტული ნივთები მოგვხვედრია თვალში. აქ კი, გაკრიალებული იატაკი, ოთახში ყველა ნივთს თუ სათამაშოს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ალბათ ამიტომაც შეგვეპარა ეჭვი და კინაღამ გამოვბრუნდით უკან, რომ წკრიალა ხმამ შეგვაჩერა:

— ქალთამზე, გოგო, კალმისტარი სწორად დაიჭირე!

ეს მესამეკლასელი ფრიადოსანი ნინო ამეცადინებდა ნოლჯგუფელ ქალთამზეს. იქვე გია და გოჩა მისხდომოდნენ მაგიდას; მეათეკლასელი გია არითმეტიკას უხსნიდა მეხუთეკლასელ გოჩას.

უცნობების გამოჩენაზე ფეხზე წამოცვივდნენ ბავშვები. ჯერ დაიმორცხვეს, მერე ნელ-ნელა გათამამდნენ და მერცხლებივით აჟღურტულდნენ. ნინო მუსიკაშიც ფრიადოსანი ყოფილა და წარჩინებული სწავლისათვის მიღებული ქების სიგელები გვიჩვენა. ნინოს არც გოჩა ჩამორჩა, გოჩას მხატვრული კითხვისათვის თვითმოქმედების ოლიმპიადაზე ლაურეატობა და ქების სიგელი მიუღია.

გია მოცეკვავე და ამავე დროს სპორტის მოყვარულია. იგი როგორც სწავლაში, ისევე სპორტში თითით საჩვენებელი ყმაწვილია.

— გელა გაზისა და ნავთობის ტექნიკუმის სტუდენტია. ხშირად მონაწილეობს ოლიმპიადებში და მასაც აქვს ბევრი ქების სიგელი, — გვეტიტინება ქალთამზე.

შეღერებული ქალიშვილი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მადონა გეგელია, მორცხვად დგას კუთხეში. სტუმრები არ შეაწუხოთო — ჩუმად ტუქსავს და-ძმებს.

მადონას ფრიადზე დაუმთავრებია სოხუმის მე-12 საშუალო სკოლა. ამავე დროს იგი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მონაწილეობდა. ჭრა-კერვაშიც ნიჭი გამოუჩენია და შესანიშნავი საკარნავალო კაბის შეკერვისათვის პირველი პრიზი მიუღია. თუმცა მადონამ რომ კერვა იცოდეს, არცაა გასაკვირი, რადგან დედა კარგი მკერავი ჰყავს. იგი თვითონვე უკერავს შვილებს კოხტა და ლამაზ ტანსაცმელს.

...პატარა თამრიკო და კახა შემოიჭრნენ ოთახში და დედას მანანასი და ნანის ჩამოსვლა მიახარეს. პატარები ყიჟინით დაეშვნენ კიბეებზე დების შესახვედრად.

მანანა და ნანი ყოველთვის საახალწლოდ ჩამოდიან კრასნოდარიდან, მანანა კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიური ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტია. ოქროსმედალოსანმა ქალიშვილმა ინსტიტუტში კავკასიური ცეკვების ანსამბლი შექმნა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ქების სიგელითა და პირველი ხარისხის დიპლომით.

ნანიც დის კვალს მიჰყვება. მან საშუალო სასწავლებელი ფრიადზე დაამთავრა. ახლა ინსტიტუტში აპირებს სწავლის გაგრძელებას და მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობს კრასნოდარში.

უმცროსები პირველ ბილიკებს კვალავენ, უფროსები კი თანდათან ცხოვრების დიდ გზაზე გადიან. მაგრამ დედისთვის ყველანი ისევ ისე პატარები და სათუთები რჩებიან. დედის უნაპირო გული ყველას ერთნაირად უნახავს სითბოსა და სიყვარულს.

უყურებთ მომცრო ტანის ამ ორმოცი წლის ქალს და გიკვირთ, როგორ ასწრებს ამდენ საქმეს, მართლა გმირი უნდა იყო, რომ ათი ბავშვი აღზარდო, დროზე მოასწრო მათი ტანსაცმლის გარეცხვა, გაუთოება, სადილების მომზადება, და მერე კიდევ გაკვეთილების გამოკითხვა. ანტონინა თითქოს ჩვენს ფიქრს მიხვდა და გვითხრა:

— დილის ექვს საათზე ფეხზე ვარ, რომ ბავშვებს საუზმე მოვუმზადო და დროულად გავგზავნო სასწავლებლებში. თუმცა უფროსები ახლა კიდეც მეხმარებიან — უმცროსებს ხელ-პირს აბანინებენ და ჩაცმაშიც შველიან. როცა გაკვეთილებს დაამზადებენ, მერე უმცროსებს მიუჯდებიან, ასწავლიან, ამეცადინებენ და გაკვეთილებსაც გამოჰკითხავენ.

ანტონინას არ ახსოვს რომელიმე ბავშვისთვის ეთქვას, დაჯექი და იმეცადინეო, რადგან, როგორც წესი, სადილის შემდეგ, ყველანი სამეცადინოდ გაიკრიფებიან. მეცადინეობის შემდეგ, რა თქმა უნდა, შრომაშიაც შველიან დედას და თამაშსაც ასწრებენ.

ამ ჯანსაღი, გარეგნობით ერთმანეთზე უკეთესი და ბეჯითი ბავშვების შემყურენი, ვგრძნობდით ბედნიერი დედისა და ოჯახის სიხარულს.

ახალ წელს გილოცავთ ჩვენო სასიქადულო დედებო! უმრავლოს ჩვენს მამულს მრავალშვილიანი, ბედნიერი დედები.

ოლია დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო დ. იაკობაშვილისა









ფოტო დ. იაკობაშვილისა

# თვალის ჩინი

პროფესორი ტ. შატილოვა



მთავარი ექიმი ბ. თოფურია (მარცხნივ) ოპერაციაზე

როცა რომელიმე სამკურნალო დაწესებულებაში შედიხარ, უცბათ გეუფლება ის განწყობილება, რომელიც იქ არის გამეფებული — საქმიანი და სერიოზული... ეთიშები გარე სამყაროს, გავიწყდება ქუჩა, რომელიც ეს წუთია დასტოვე თავისი ხმაურითა და გულგრილობით, გავიწყდება შენი პირადი საზრუნავიც, რომელიც თითქოს მუდამ თან გდევს, და ფიქრობ მხოლოდ იმაზე, თუ როგორი განსხვავებული, ძნელი საქმე უკისრიათ ადამიანებს, რომელთაც სხვისი ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისათვის ზრუნვა გაუხდიათ ცხოვრების მიზნად.

აი, ამას გაიფიქრებთ მაშინაც, როცა თბილისის თვალის სნეულებათა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში შეაბიჯებთ. შენობა არატიპიურია თანამედროვე საავადმყოფოსათვის — ვიწრო დერეფნები, გადატვირთული პალატები და მოუხერხებელი კაბინეტ-ლაბორატორიები მნახველზე ცოტა მძიმე შთაბეჭდილებასაც კი სტოვებს, რასაც, ალბათ, თვალახვეული ავადმყოფებისადმი სიბრალულიც აძლიერებს.

მაგრამ საქმეები, რა საქმეები კეთდება აქ! — თვალის რქოვანას გადანერგვა, ბადურის ჩამოცლის შემთხვევაში სკლერის ჩაკერვა, ალოპლასტიკა, გლაუკომის ოპერაციები, ჭრილობების დამუშავება ბიონაკერებით.

საბჭოთა კავშირში პირველად აქ განხორციელდა: ულტრაბგერის გამოყენება თვალის სხვადასხვა დაავადების დროს, გლაუკომიან ავადმყოფთა მედიკამენტური მკურნალობა, გლაუკომაზე ეჭვმიტანილთა შესწავლა ელექტროკარდიოგრაფის საშუალებით და სხვა.

თვალის ჩინი!

ამ სიტყვებს ეპითეტად ხმარობდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ექიმი ც. შურღაია
პატარა პაციენტებთან

ექიმი მ. კვალიაშვილი



ექიმი მ. ახმეტელი



ჩვენი წინაპრები, მაშინ, როცა ყველაზე სათუთი გრძნობების გამოხატვა სურდათ „თვალის ჩინოო" — ეტყოდნენ ყველაზე ძვირფას, საყვარელ ადამიანს.

მართლაც, სიცოცხლისათვის რა უნდა იყოს უფრო ძვირფასი, ვიდრე მხედველობაა, თვალის ჩინია? არაფერია იმაზე ამაღელვებელი, როცა უსინათლოს, რომელსაც თვალის ოპერაცია აქვს გაკეთებული, სახვევებს მოხსნიან და... დაინახავს. ჩვენ ეს აქ, ამ საავადმყოფოში ვნახეთ. ამ ავადმყოფის გამომეტყველებას ვერც ერთი დიდი მსახიობი ვერ მიიღებს: ეს იყო სიხარული, აღელვება, გაოცება, მადლობა და კიდევ სხვა რაღაც, ენით უთქმელი...

ამ დიდ სიხარულს აქ ანიჭებენ ადამიანებს, საავადმყოფოში, რომელიც სახელოვანი ქართველი ოფთალმოლოგის — გიორგი ტარსაიძის სახელს ატარებს, 80 წლის წინათ ჩამოყალიბდა და განვითარდა ქართული ოფთალმოლოგიური სკოლა, რომელმაც საიმედო კადრები აღზარდა. დღეს კი მის ბაზაზე არსებობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრა, მას ხელმძღვანელობს ცნობილი ოფთალმოლოგის ალექსანდრე შატილოვის ქალიშვილი, პროფესორი ტატიანა შატილოვა — ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი საბჭოთა კავშირში.

რა სიახლეები აქვთ საავადმყოფოში?

რესპუბლიკაში პირველად აქ გახსნეს ბავშვთა მხედველობის დაცვის კაბინეტი, სადაც ელამ და სუსტად მხედველ ბავშვებს მკურნალობენ. კაბინეტის გამგე ციალა შურღაია სიყვარულით ეგებება ბავშვებს, შესაფერის განწყობილებას ქმნის და პატარა პაციენტებიც სიხარულით, სულ კუნტრუშით მიდიან სამკურნალო ვარჯიშზე, რომელიც სხვადასხვა აპარატურით წარმოებს.

დიდი ხანი არ არის რაც აქ გაიხსნა ტრავმატოლოგიური პუნქტი, სადაც დღე-ღამის განმავლობაში შეუფერხებლად წარმოებს ავადმყოფთა მიღება, გამოკვლევა და კვალიფიციური დახმარება.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საავადმყოფოს მთავარი ექიმის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის გივი თოფურიას წამოწყებამ: მოსახლეობის ფართო მასების მხედველობის სიმახვილის გამოკვლევამ ტელევიზიის საშუალებით. ეს მეთოდი, საბჭოთა კავშირში, პირველად აქ მოიფიქრეს და განახორციელეს, შემდეგ მათ სხვა რესპუბლიკის კლინიკურმა საავადმყოფოებმაც მიბაძეს.

ენთუზიაზმი, გატაცება, საქმისადმი სიყვარული — აი, რა ახასიათებს მთელ კოლექტივს. ამ ენთუზიაზმის გამოა, რომ სტაციონარში სანიმუშო მომსახურებაა დანერგილი, რისთვისაც ყველა განყოფილება ატარებს კომუნისტური შრომის საპატიო სახელს. ამ კოლექტივის საიმედო წევრები არიან: შესანიშნავი ოპერატორი და კლინიცისტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მარიამ კვალიაშვილი, სახელოვანი ექიმი, ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი მზია ახმეტელი, თავისი საქმის ერთგული, თავმდაბალი და კეთილსინდისიერი ორდინატორი თამარ ჯაოშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი შუშანა ცაავა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მედდა ტატიანა ცხვედიანი და სხვანი.

რა პრობლემების წინაშე დგას კოლექტივი?

— ისევ და ისევ ტრავმატიზმი, გლაუკომა და სისხლძარღვოვანი გარსის ანთება, აი, ესაა ჩვენი საზრუნავი, — გვითხრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ტატიანა შატილოვამ.

როგორც უკვე ვთქვით, სტაციონარი გადატვირთულია, რადგან 150-საწოლიანი საავადმყოფო ვერ აუდის მთელი რესპუბლიკის მოთხოვნილებას. რაც ერთგვარად ხელს უშლის ამ შესანიშნავ კოლექტივს სრულყოფილ მუშაობაში, სწორედ ამიტომ შენდება კრწანისში დიდი, ტიპიური შენობა, სადაც შესაძლებელი იქნება ერთდროულად 300 ავადმყოფი მოათავსონ. მშენებლებმა განსაკუთრებული მზრუნველობა და ენთუზიაზმი უნდა გამოიჩინონ ამ საქმეში, ისინი ხომ იმ შენობას აგებენ, რომელიც თვალის ჩინის შენარჩუნებას მოემსახურება.

**ნინო ახალკაცი**



# შეხვედრა მეცნიერთან

გრძელ გალანში სიჩუმეა. ვერ ხვდები საიდან შემოდის მზის სუსტი სხივი, რომელიც კედლებზე გაკრულ ფრესკებსა და ნახატებს რაღაც იდუმალებით აშუქებს. თითქოს ჰკარგავ ადგილისა და დროის შეგრძნებას: აქ, ამ გრილ გალანში თავი მოუყრიათ (ზეაპყრობილი ხელებითა და მუდარით სავსე თვალებით) საქართველოსთვის ლოცვად დამაშვრალ მეფეებსა და წმინდანებს.

მშვიდლად გვევლინება მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორი რუსუდან მეფისაშვილი (ის, ვისთვისაც აქ — ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მოვედით).

თეთრები აცვია, მოღლილი მხრები, ჭკვიანი თვალები და თხელი ხელები აქვს. იგი საოცრად ერწყმის ამ წყნარი გალანის კედლებზე ჩარიგებულ სახეებს.

„აქ საქართველოს გაძრებისა და ეკლესიების მოხატულობათა ასლებია თავმოყრილი, ყველა, რაც კი გადაურჩა მტრის ცეცხლსა და მახვილს, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობას," — გვეუბნება რუსუდანი.

ამ ათიოდე წლის წინათ ერთ-ერთმა ცენტრალურმა გაზეთმა დაბეჭდა სტატია, რომელიც ხელოვნებისა და არქიტექტურის ძეგლების დაცვისადმი იყო მიძღვნილი. ავტორი გულისტკივილს გამოთქვამდა, ეს საქმე მაინცა და მაინც ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე, მეტი ზრუნვაა საჭიროო. კარგის მაგალითსაც ასახელებდა: ისე უნდა გავუფრთხილდეთ და შევისწავლოთ არქიტექტურის ძეგლები, როგორც ამას საქართველოში აკეთებენო.

არ ვიცი, იცნობდა თუ არა ავტორი რუსუდან მეფისაშვილს, იცოდა თუ არა იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც მეცნიერ ქალს საქართველოს ძეგლების შესწავლის საქმეში მიუძღვის, მაგრამ ერთი რამ უდავოა, ასეთმა ადამიანებმა გამოამზეურეს ძველი ქართული კულტურა, გვასწავლეს მისდამი სიყვარული.

არც ერთი დიდი საქმე იოლად არ კეთდება. რუსუდანის მოღვაწეობის დასაწყისი დიდი სამამულო ომის წინა და პირველ დღეებს ემთხვევა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ქართული ხელოვნების ისტორია, როგორც სამეცნიერო დარგი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი.

რუსუდან მეფისაშვილის კვლევის საგანი იმთავითვე ხუროთმოძღვრების ძეგლები იყო.

ომის მშიერ, შიშველ და ცივ წლებში სწავლობდა რუსუდანი საქართველოს კულტურულ ძეგლებს. 25 გრადუსი ყინვის ქვეშ, ჯარისკაცის გაცვეთილ „ბატინკებში" გამოწყობილი აღნუსხავდა იგი ვალეში — ზედ თურქეთის საზღვარზე აღმართულ მოჩუქურთმებულ ეკლესიას. ასე იყო ქვათახევისა და სხვა მრავალი ტაძრის აღწერის დროსაც.

1947 წელს რუსუდანი იცავს საკანდიდატო დისერტაციას საქართველოში შექმნილ და განვითარებულ ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკების ერთი ტიპის შესახებ. მისი მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომი „გელათის არქიტექტურული ანსამბლი".

თავად მეცნიერი ქალის სიტყვებით რომ ვთქვათ, გელათი იმ ბედნიერ ძეგლთაგანია, რომელთაც ბედმა გაუღიმა და ზოგი რამ მაინც შემოუნახა ხალხს მათი აგების ისტორიიდან.

უამრავი ჩანაწერი დაგვიტოვეს გელათის შესახებ წარსული საუკუნეების მკვლევარებმა, რომლებიც ძირითადად მოგზაურები გახლდნენ: რუსი ელჩები XVII საუკუნეში — ივლევი და ტოლჩანოვი, ამავე საუკუნის ფრანგი მკვლევარი დიებუა, დიდი მეცნიერი მარი ბროსე, რომელიც, სხვათაშორის, უარყოფს ვერსიას თითქოს გელათის აღმშენებელი იყო ბაგრატი და არა დავითი.

გელათით დაინტერესებული იყვნენ, აგრეთვე, მკვლევარები: მურავიოვი და გაგარინი, როგორც ცნობილია, გელათის აღმშენებლობის საკითხების შესასწავლად (გასარკვევად) შრომა გასწიეს ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა: გ. ჩუბინაშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ამირანაშვილმა, თ. ვირსალაძემ, შ. ლომინაძემ და სხვებმა.

გელათის კვლევის ისტორიის ეს პატარა ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის დიდი სირთულე, რაც მკვლევარის წინაშე იდგა. რუსუდანს უნდა ეთქვა თავისი სიტყვა ქართველი ერის ამ ხელთუქმნელი ძეგლის შესახებ.

ამჯერად სრულად იქნა შესწავლილი გელათის ანსამბლის არქიტექტურული სახე. თანმიმდევრობით დათარიღდა ანსამბლში შემავალი ძეგლები, დაზუსტდა, რა შეკეთება, თუ გადაკეთება განიცადეს მათ.

ანსამბლის თავდაპირველი სახე გახლდათ ცენტრალური ეკლესია, რომელსაც გარს ერტყა ღვთის მსახურთათვის განკუთვნილი სენაკები. იქვე იყო აკადემიის შენობა, სადღაც ახლოს კი სასახლე, რომელიც ადვილი შესაძლებელია, მეფის მისაღებად იყო გათვალისწინებული.

მე-13 საუკუნეში გელათში კვლავ ინტენსიური გახდა ცხოვრება—აიგო „წმინდა ნიკოლოზისა" და „წმინდა გიორგის" ეკლესიები.

თავის ნაშრომში რუსუდან მეფისაშვილმა ნათლად წარმოგვიდგინა მე-13, მე-14 საუკუნის გელათის არქიტექტურული კომპლექსი. წაკითხული იქნა იმდროინდელი წარწერები.

მეცნიერი ქალის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, რომლებშიც აღწერილია ცალკეული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ქანდაკებების ისტორია.

ამ ბოლო ხანებში რუსუდან მეფისაშვილი სწავლობს დიდი და პატარა ლიახვის ხეობისა და ბოლნისის რაიონის ძეგლებს. ეს მიდამოები ხომ ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული კერათაგანია. აქ გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს სამხრეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ამიტომ ამ გზაჯვარედინზე გაჩაღებული იყო ხიდებისა და ქარვასლების უდიდესი მშენებლობა. ამ ადგილებს ამშვენებდა მრავალი შესანიშნავი ქართული ეკლესია, მათ შორის, „ჰამამლო" (ამ სახელის თათრული ჟღერადობა ჩვენი ქვეყნის ავბედობის შედეგია, ალბათ) და „ლამაზი საყდარი". ამ ძეგლების წარწერაში იკითხებოდა: „მეფეთა მეფე თამარი". სამწუხაროდ, ესა და ბევრი სხვა წარწერა დღეს აღარ არსებობს.

ბევრი ღირსშესანიშნავი ეკლესია აიგო ბოლნის-დმანისის მიდამოებში ლაშა გიორგის დროსაც. ლაშამ მიადგა დმანისის სიონს მოჩუქურთმებული კარიბჭე. რუსუდან მეფისაშვილი მარტო წარსულის ძეგლებით როდია დაინტერესებული. იგი დღევანდელი დღითაც სისხლსავსედ ცხოვრობს.

მან უდიდესი შრომა გასწია კოლმეურნეთა ინდივიდუალური სახლების მშენებლობის შესწავლის მიზნით. ფეხით დაიარა მთელი იმერ-ამერი. შენიშნა და აღნუსხა ჩვენი დადებითი და უარყოფითი. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ძველი და ახალი სამშენებლო ელემენტების უსარგებლო შერწყმას.

ამ შრომამ დიდი დახმარება გაუწია საპროექტო ორგანიზაციებს საკოლმეურნეო მშენებლობის დაპროექტების საკითხში.

დღეს, რუსუდან მეფისაშვილი გატაცებით სწავლობს ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების ანსამბლებს.

შრომა რომ უდიდესი სიამოვნების მომნიჭებელია, ეს ყველა შრომისმოყვარე ადამიანისათვის აქსიომაა. მაგრამ სიამოვნება ნამდვილ ბედნიერებად იქცევა, როცა კაცი გზის დასაწყისში სწორ არჩევანს გააკეთებს და იმ საქმეს მოჰკიდებს ხელს, რისი ნიჭიც მოუმადლებია მისთვის ბუნებას.

ნანული ცაგარეიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცინარა ტერელაძე

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ცინარა ტერელაძე ჩადგა ქართველ მხატვარ ქალთა შორის. გასული 1971 წელი მისთვის წარმატებების მომტანი აღმოჩნდა — ცინარა ტერელაძემ მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენაში. ესენი გახლდათ: ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხატვართა მოსკოვის საკავშირო გამოფენა; საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენა და საკავშირო გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში“.

ნამუშევრები, რომლებიც ამ გამოფენაზე წარადგინა ჩვენმა ახალგაზრდა მხატვარმა ქალმა, გამოირჩეოდნენ მაღალი გემოვნებითა და დახვეწილი ტექნიკით. გამოირჩეოდნენ თემატიკითა და ამასთან ერთად სავსენი იყვნენ მშობლიური ქართული სულით. აი, რას წერს ცინარაზე სახალხო მხატვარი ვლ. გრიგოლია: „მას აკადემიაში თან მოჰყვა რაღაც თავისებური შემოქმედებითი შეხება მხატვრული ნაწარმოების შექმნისას, რაღაც თავისებური მადლი...“ ეს მადლი ჩვენის აზრით არის სწორედ ის მშობლიური და განუმეორებელი, — რის წარმოჩინებასაც ელტვის მხატვარი ქალი თავის ნამუშევრებში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ცინარა ტერელაძის სადიპლომო ნაშრომი — სარაინდო-საგმირო ეპოსის „ამირან-დარეჯანიანის“ ილუსტრაციები, რომელმაც აკადემიაში ფრიადი შეფასება დაიმსახურა. ამ ციკლით მხატვარი ქალი მიუბრუნდა ტრადიციულს, თითქოს, წლების ფერფლი გადააცილა წარსულში ესოდენ პოპულარულ ქართულ მინიატურას. აქ იგრძნობა ტექნიკა, ყალმის კულტურა, დახვეწილი გემოვნება, და, ამავე დროს, დასტური იმისა, თუ რაოდენ დიდი შრომა გაუწევია მხატვარს იმ ეპოქის ყოფის შესასწავლად. ტერელაძემ თითოეულ ილუსტრაციას მოუნახა საინტერესო კომპოზიცია, გახსნა თემატურად, მისცა ილუსტრაციის მოქმედ გმირებს დამახასიათებელი პლასტიკა.

საკავშირო გამოფენას „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში“ — მხატვარმა ქალმა წარუდგინა ორი გრაფიკული ესტამპი თემაზე: „სპორტი ძველ საქართველოში“ („ქიდაობა“, „ცხენბურთი“). აქ უკვე ხასიათებში ჩანს მხატვრის ღონიერი ხელი. გახსნილ ბაგეებზე მომდგარ ყვირილში, მოჭიდავეთა თუ ცხენბურთელთა კუშტ სახეებში, წამქეზებლებში, მელოდიას აყოლილ მოსაკრავეებში, და, რაც მთავარია, ცხენებში, მხედართა ხელებში — ესაა ღონიერი და თამაშს ექსტაზით მიცემული სიჭაბუკე.

ყურადღებას იპყრობს მონოტიპია — აკვარელით: „პირველი კომკავშირელები“. გორაკსა და გორაკს შუა ატეხილი ჭალები, ტყეები, რომელთაც თავისი ჰაეროვნებითა და სილბილით სითბო შეაქვთ სურათში. ეს სითბო ერთგვარი ვარაყია თითქოს პირველი კომკავშირული, არალეგალური და მგზნებარე კრებისა.

აგერ ქალიშვილის პორტრეტი „ოცნება“ (აკვარელი) და „ქალიშვილი მტრედით“ (შესრულებული კარტონიდან ღრმა ბეჭდვის ტექნიკით); აქედან „ოცნება“ ექსპონირებულია აკვარელის რესპუბლიკურ გამოფენაზე.

ამ ნამუშევართა ხილვა საკმარისია, რომ ირწმუნოთ ცინარა ტერელაძის, როგორც მხატვრის ნაყოფიერება, სწრაფვა მრავალფეროვნებისკენ. ეს ნამუშევრები, ამავე დროს ერთგვარი საწინდარია ახალი წინსვლისა და წარმატებისა.

ნაზი კილასონია



ილუსტრაცია „ამირან-დარეჯანიანისათვის“.





„ცხენბურთი“.



„ქალიშვილი მტრედით“.



„ქეიფობა“.

ჩანართის პირველ და, მეოთხე - გვერდზე
ც. ტერელაძის ილუსტრაციები „ამირან-დარეჯანიანისათვის“.



მხატვარი ვ. გულისაშვილი



# ჭრილობა

გოგი მაისურაძე

მოთხრობა

დაბაში უმალვე გაიგებენ ხოლმე უცხოს ვინაობას, ან თვითონ იტყვის ვინც არის და რატომაც ჩამოვიდა, ან ვილაც ნაცნობი გაჩნდება, თუ არადა ყველაზე ცნობისმოყვარე და კადნიერი ჰკითხავს ასავალ-დასავალს.

ის კაცი კი სასადილო „ლაშარში" დილიდან მარტოდმარტო უზის განაპირა მაგიდას. აგერ, მეორე ხელადა ღვინო გამოცალა, უზის უტყვად, ფიქრებს მიცემული და გამოლაპარაკება ვერავინ ვერ შებედა, როცა ასე ადვილია შებრუებულ კაცთათვის სუფრაზე გაცნობა.

სასადილოს მზარეულმა მას „ძალუმი კაცი" შეარქვა. უცხოს მარცხენა წარბიდან შუბლს ალმაცერად ჭრილობა უსერავდა. უთუოდ ამ ჭრილობამ უფრო მოხიბლა დაბელები. ვილაცამ ვილაცას უთხრა „ლაშარში" ძალუმი კაცის გამოჩენაზე, რალაი შევიდნენ სასადილოში, თითო ხელადა ღვინოც წაილიეს. ზოგნი დაუკმაყოფილებელი ცნობის წადილით გავიდნენ სასადილოდან.

მზარეული დროდადრო სამზარეულოს სარკმლიდან გამხედავდა უცხოს. მას ნიდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო და მარცხენა ხელისმტევანში ჩაებღუჯა ბრტყელი, წინწამოზნექილი ნიკაპი. დიდი ტორები და დიდი შუბლი ჰქონდა, ჭრილობა კი მზარეულს განძად მიაჩნდა.

— ოოჰ, ჰო! — აღმოხდებოდა ნატვრითა და გაოცებით.

ხელზემომხმარე ყმაწვილი წამით არ რჩებოდა მზარეულს, რომ არ მიებაძა მისთვის ძალუმი კაცის საქებრად, იგი სარკმლიდანაც მზარეულზე ამხარლლიავებული იცქირებოდა. სქელ-სქელი დახლიდარიც უცხოს ათვალიერებდა ქამიდან ჟამზე, მერე მზარეულს გამხედავდა და მხრებს აიჩეჩდა. წამსვლელნიც მზარეულთან მიდიოდნენ, რადგან დაბაში ბევრის მცოდნისა და მნახველის სახელი ჰქონდა დავარდნილი, ჰკითხავდნენ:

— ნეტავი, ვინ იქნება ეს კაცი?

— აბა, რა ვიცი... ისე კი ძალუმი კაცი სჩანს.

— ჩვენებური არ უნდა იყოს.

— ვინ იცის, იქნებ ჩვენებურიცაა.

— ვინ იცის, იქნებაც...

ძალუმი კაცი ზოგჯერ ფიქრიდან გამოერკვეოდა, თვალს მოატარებდა დარბაზში ჭერჭერ და ფანჯარას გამხედავდა, სადაც დიდდიდი ფიფქები სცვიოდნენ. დალევის წინ ივსებდა ჭიქას, მერე მწლაკუნით მოსვამდა და ისევ ფიქრს ეძლეოდა.

მზარეულს ეხარბებოდა ძალუმი კაცის ნაჭრილობები, თუმცა არ იცოდა ჭრილობა ომისეული იყო, კეჭნაობაში თუ მესისხლეობაში შენაძენი. მზარეული ცდილობდა თვალდათვალ, მარცხენა წარბიდან ალმაცერად შუბლის სიგრძივ, ძველი ზნე-წესით ეანგარიშა თუ რა ეღირებოდა ის ჭრილობა. სისხლის საურავს მთიულები ოდითგანვე ქერის მარცვლებით ანგარიშობდნენ. ყოველი მარცვალი ჭრილობის სიგრძივ, ერთი დაწოლილად და ერთი დგომელად, რიგრიგობით, თითო ძროხად ფასობდა. მზარეული ვარაუდით ოცს ითვლიდა. თითქოს ჰხედავდა თვალცხადლივ ჭრილობის საურავს, თეთრფერდა ძროხების ნახირს.

ნაშუადღევს, ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა ერთ-ერთი დაბელი გაკადნიერდა და უცხოს ვინაობა ჰკითხა.

— შენ აქაური არ იქნები? ასე მგონია, რაღაც...

ძალუმმა კაცმა გაიხედა ორი-სამი მაგიდის მიღმა, იმ სუფრისაკენ, სადაც თანამეინახეებთან მჯდარი კადნიერი ჭაბუკი ფეხზე წამომდგარიყო და პასუხს ელოდა.

— ჰო, აქაური ვარ!

— რაღაც... არ მეცნობი-მეთქი.

— შენ როგორ უნდა გეცნობოდე, ლეკვი ხარ... შორს ვიყავ, ძალიან შორს, ცხრამთას იქით, ახლა-ღა დავბრუნდი შინ.

— ჰოოო, ასე იქნებოდა... — თქვეს დაბელებმა.

მზარეული კარებში გამოსულიყო და ყურს უგდებდა ლაპარაკს. ზურგსუკან ამოფარებული უმაწვილი ტოკავდა, გაფაციცებით აქეთ-იქით იცქირებოდა.

— ტინოვანს მივდივარ.

— ეეეჰ, ოოოჰ! — გაიოცეს დაბელებმა.

მზარეული კარებს მოსცილდა, შუა დარბაზში რომ გავიდა, ძალუმ კაცს ასე მოახსენა:

— ტინოვანი რა ხანია აიყარა.

— აიყარა, ბარში გადასახლდა, — დაემოწმენ სხვებიც .

— ჰოოო! — აღმოხდა ძალუმ კაცს სინანულით. დაჭრილი შუბლი მოისრისა, პირი გაამწკლაპუნა. მას თვალწინ დაუდგა თავისი მწირი სოფელი. ფერდობზე ნაგები ქერხოებით. გულზვიადი და როყიო გლეხკაცები, გამრჯენი და ურთიერთის მოამაგენი. „ნეტავ ვინ დაბრუნდა ომიდან“ — გაიფიქრა ათასჯერ ნაფიქრი. „ახალი თაობა წამოიზრდებოდა, ბარში გაჩენილებიც ბევრნი იქნებიან“. მან განიზრახა რომ ენახა ნასოფლარი, მერე კი ბარში დედასთან ჩავიდოდა. აგერ, შინმოსულად მიაჩნდა თავი და იმიტომ აღარ ჩქარობდა, ახლა კი გზა გაუგრძელდა. არა... თითქოს ეს დაბა საზღვრად ექცა. აქამდე მოეშურებოდა, აქ რომ ამოვიდა, უეცრად შედრკა, ბიჭი ველარ გადადგა. იქნებ დედა ცოცხალი აღარაა. ამიტომ დააყოვნა ამდენ ხანს „ლაშარში“, ვერა და ვერ გადაელახა შიში, თითქოს გზის გასაგრძელებლად სხვისი დახმარება ეწადა; იქნებ იპოვნოს ცხენიანი გამყოლი და ხვალ წავა ნასოფლარის სანახავად, ძალიან სწადია დაინახოს დიდიხნისუნახავი თავისი სოფელი და ორბების ბუდე, საბეწველას მთაზე. ჰაუხი ძველებურ ციხექალაქსა ჰგავს, ირგვლივ ბურჯები უყენია. იმ ციხე-ქალაქში ორბები ბუდობდნენ, იქ ბდღვნიდნენ ნანადირევს და ზენაქარს ბუმბული სათიბებში ჩამოჰქონდა. სოფლელები ახლო-მახლო ბალახს არ სთიბავდნენ, იგი პატარაობიდან მტრობდა პირსისხლიან მტაცებლებს. ციხესა და ბურჯებს უცხო ბუმბულიანი ხისხლი, გამონაფატრი შიგნეულობის ნატამალი, ქვევით მიწაზე კი გამოკორტნილი ძვლები ეყარა. როს გაიზარდა, ყელღილველა მტაცებლებზე ნადირობას მიჰყო ხელი. ომში წასვლის წინადღესაც მოჰკლა ერთი ონავარი და სოფელში ჩაიტანა. სხვიმის ხელსაც არ ახლებდა, იქვე სტოვებდა ბურჯოვან ქალაქში... ძალუმი კაცი ზმანებიდან გამოფხიზლდა და დაბელების ლაპარაკს დააყურა.

— არც ერთი კომლი არ დარჩენილა?

— არცვინა, აბა, ვინ დარჩებოდა?

— როგორ არა, ერთადერთი ყუდიერალაა — გაიხსენა ჭარმაგმა კაცმა.

— ვინაა ის ყუდიერა? — იკითხა რიხით ძალუმმა კაცმა და უმალ ზეზე წამოდგა.

— დედაბერია ერთი, — ამცნო მას მოხუცმა დაბელმა. — ჰო, ახლა მეც გავიხსენე, დედაბერია ერთი.

— რა გვარისაა? — ჰკითხა მათ ჭარმაგმა, — არ იცით? მე გვარი არ მაგონდება, იქნებ თქვენ გაიხსენოთ.

— არა, არ ვიცით, — უპასუხეს მას.

— არ მაგონდება, — თქვა სინანულით კადნიერმა ჭაბუკმა.

ძალუმმა კაცმა ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და კარებისაკენ წავიდა, როცა მაგიდებთან გაიარა, ყველამ აშკარად დაინახა, რომ ცალ ფეხზე კოჭლობდა.

— აბა, როგორ იქნება ამ თოვაში ტინოვანს წასვლა?.. თანაც მარტოდ მარტოსი, — უთხრა ძალუმ კაცს ჭარმაგმა.

— გზაზე ნადირი გამოგიხტება.

— სადმე ზვავმა არ დაგიტანოს. სახიფათოა ახლა მგზავრობა.

დაბელებს რჩევაზე არ პასუხობდა. დანაბარჯი დახლიდართან უჩუმრად გადაიხადა. თვალი მოავლო იქ მყოფთ.

— ნუ წახვალ, — უთხრა მუდარით სამზარეულოს კარებში გამოსულმა მზარეულმა, — გზაში დაგაღამდება და, ვინ იცის, რა ხიფათს გადაეყარო.

— კეთილად იყავით ყველა! — კარებისაკენ წავიდა.

— ამაღამ ქალაქს რომ არ მივდიოდე, გავყვებოდი. თოფიცა მაქვს და ძაღლიცა მყავს. — თქვა კადნიერმა ჭაბუკმა.

— ყველაკასი მადლობელი ვარ, — თქვა ისევ ძალუმმა კაცმა. და კარები განვლო.

— მაგ კაცს გზაში რაიმე ხიფათი შეეყრება, — არ ცხრებოდა ჭარმაგი, — არ უნდა გაგვეშვა მარტოკა.

— ძალუმი კაცია... აალწევს ტინოვანს... არარა ხიფათი და განსაცდელი არ შეეყრება — უარჰყო სხვების შიშნეულობა მზარეულმა. წელან ხომ თვითონაც ურჩია არ წასულიყო ტინოვანს.

— მაშ არ აალწევს, ავა, — ამოღერღა ხელზემომხმარე უმაწვილმა, — მზე მაღლით იქნება!

— მე მითქვამს და — აღარ დაასრულა ჭარმაგმა.

— ცალი ფეხი არ უვარგა, — დაენანა კადნიერ ჭაბუკს.

— ნეტავ საიდან მოდის? ბევრი ექნება განცდილი და გამოვლილი... ცალ ფეხზე კოჭლობს და შუბლიც... — ქება-დიდების კილოთი დაამთავრა მზარეულმა.

— საიდან მოდის და ტყვეობიდან, — ამცნოთ კადნიერმა ჭაბუკმა.

— შენ რა იცი? — ჰკითხეს მას.

— არ ნახეთ, ზურგჩანთაზე უცხოური დამღა რომ არტყია?

* * *

წისქვილამდე მთვარით იარა ძალუმმა კაცმა, იქიდან ტინოვანის სანახები გამოჩნდა — სერის პირიქეთი, სოფლისთავის პიტალო კლდეები და გაღმით ტყიანი კორტოხები, მდინარის წითელმიწა ფლატები.

ქანცგაწყვეტილი ოფლიანი შუბლით მიებჯინა წისქვილის კარებს, კარი მოირიკლა. ოფლი სახელოთი მოიწმინდა აქოშინებულმა. ერთხანს ისვენებდა, ოდნავ სული რომ მოითქვა, ისევ გზას გაუდგა. სოფლამდე შორი აღარ იყო. ლასლასით მიდიოდა, უტერფო ფეხი დაუმძიმდა და უკანა რჩებოდა, ნაბიჯს ურევდა, ახლა ხვითქს ერთიანად ასხამდა. თავპირზე ოხშივარი ასდიოდა, რკინისწვეტიან ხელჯოხს ახლო-ახლო იბიჯგებდა. ფეხის მოყინვის არ ეშინოდა, თბილი წინდები ეცვა ზოგჯერ ეჭვი შეეპარებოდა, იქნებ ყუდიერა დედამისი არ ყოფილიყო, მაინც უნდა მიეღწია იმ დედაბერთან, იგიც ხომ დაყუდებული თავისას ელოდებოდა წლითიწლობით, მარტოდმარტო უკაცრიელ სოფელში. ნასოფლარიდან ხმაური შეესმა. სმენა დაძაბა, დააყურა. ყუდიერა რაღაცას უტატანებდა, იქნებ თავისთავს ეხმიანებოდა სხვის ხმას დანატრებული დედაბერი.

— ჰა, ტა, ტა, ტატატა!

უეცრად თოფმა დაიქუხა, მთებს ჯერაც არ გადაჰყროდა გრგვინვა-გრიალი, რომ კიდევ ერთხელ ახმაურდა.

ნაბიჯს აუჩქარა, თითქმის მირბოდა. სოფლიდან ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა, კვლავ აუჩქარა ნაბიჯს, ხან გარბოდა და ხან სვენებით მიდიოდა, ხვითქი ხვითქზე სდიოდა, ფენა-ფენად, თითქოს ახურებდა და ამცივნებდა, აცახცახებდა, როგორც იქნა მიაღწია ნასოფლარს. ქერხოები ალაგ ზეზეულად იდგნენ, ალაგ-ალაგ კი ჩანგრეულიყვნენ, ყეროებიც ჩამოშლილიყო, თავისი ქერხოს მიგნება გაუჭირდა ნანგრევებს შორის. ბნელში აღარც გზა ჩანდა და ვეღარც კვალი გაიგნო. აქეთ-იქით იარა და ეძება. ბოლოს მაღალი ნეკერჩხალით მიიმხრო თავისი ქერხო. მწყობრად დალაგებულ ყორეზე გადავიდა, კვამლის სუნი ეცა. ეზო დაგვილი და დასუფთავებული სჩანდა, მთელი სამოსახლო და ქერხო მოვლილი. მთვარე გამოვიდა ღრუბლებიდან, იგი რომ კარებს მიუახლოვდა.

— დედი, დედი! მე ვარ...

ქერხოში ვიღაც აფათურდა, მერე შუქმაც გამოაბჟუტა, დაყოვნებით კარები გაიღო.

— რაო?.. რომელი ხაარ?

— მე ვარ, დედი!

— მოხვედი განა?

— ჰოო, მოვედი, მოვედი.

— ასეც ვიცოდი... ძალიან დაიღალე?

— დავიღალე.

შინ შევიდნენ. ხელჯოხი კედელზე მიაყუდა, ზურგჩანთა ტახტზე დასდო, გრძელ მერხზე ჩამოჯდა და ხელები მაგიდაზე დააწყო. დედა უჩუმრად გარეთ გავიდა. შვილმა მიიხედ-მოიხედა ქერხოში.

— ჰოი! — აღმოხდა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელზე გაკრულ ქეჩაზე მისი ნაქონი თოფი, დედამ წელან რომ გაისროლა დ მამა-პაპეული ფარ-სატევარი ეკიდა. ყველა ავეჯი მაშინდელად, ომისდროინდელად იყო. ერთმა ხანმა განვლო, დედა აღარ ჩანდა. შვილმა იცოდა, რომ დედა უკაცრიელ სოფელში მის გამო დარჩა, გზა-კვალი რომ არ აბნეოდა და ეს ქერხო დაეხვედრებია. მას გული ჩაუკვდა... დედა კვლავ არ ჩანდა. შვილს უეცრად შ ეშინდა დედას ელდა არ სცემოდა, წამოხტა და კარები გამოაღო. დედა უქმად მიდი-მოდიოდა ეზოში, თითქოს გზა დაჰკარგოდა ან უსარგებლო რაიმეს ეძებდა.

— ჰო, მოვდივარ, — თქვა დედამ და შიგნით შევიდა, — რა ვქნა? — აქეთ-იქით მიმოიხედა.

— თოფი ვინ ისროლა? — მას ეზოდან შემობრუნებული დედა უფრო დაბერებული ეჩვენა, ვიდრე პირველად.

— ვინ იქნებოდა?.. გაიგონე? კეკია მომტაცეს მგლებმა. ბებერი ნაგაზი იყო, გადამკვდარებული.

— ის კეკია, ყვითელი ნაგაზი?

— ის ამდენ ხანს როგორ იცოცხლებდა. ეს მურა ფერისა იყო, მეოთხე. ყველას კეკიას ვარქმევდი. — არაყი, პური და აპოხტი მიიტანა, მაგიდაზე დააწყო, — რა ხანია ამ ქერხოში არაყი არ დალეულა. უი, ტყუილს არ ვამბობ? შარშან მონადირეები იყვნენ, წლეულს კიდევ მეცნიერები, ადრე და ადრე კიდევ ტყის მჭრელები ამოდიოდნენ, როდის როდის და იშვიათად ვილაც ამოვა. წელიწადში ორჯერ მეც ჩავდივარ დაბაში, ადრე გაზაფხულზე, როცა საკვები გამომელევა, და გვიან შემოდგომაზე, ზამთრისათვის თადარიგის დასაჭერად.

— თოფი მგლებს ესროლე?

— მაშ, მგლებს ვესროლე... ერთხაც ყოველთვის ვისვრი ხოლმე ძილისწინ, ასე იმედიანად მეძინება. ისიც კარგია ამ დიდრონ მთებს რომ აქუხებ.

— აქ რას აკეთებდნენ ისინი?

— ვინა? ვისზე ამბობ?

— აი, ისინი, რომ თქვი მეცნიერებით.

— სამკურნალო ბალახებს აგროვებდნენ. მე თვითონ დავატარებდი, ვუჩვენებდი ყველა ბალახს და მცენარეს.

შვილი უეცრად აქვითინდა; ცრემლები ლაპალუპით სცვიოდა, ბავშვივით მიამიტად ტიროდა და ნეტარებასა გრძნობდა.

— იყუჩე, შვილო... აი, რა გითხრა — აქ დავრჩეთ ერთ კვირას, თუ გინდა ორ-სამ დღეს, მერე კი ჩვენც წავიდეთ... ახლა შენ რომ ჩამოხვედი, ასე აჯობებს. აქ რაღას დავუდგეთ.

— წავიდეთ... სად წავიდეთ?

— ბარში, იქ სადაც ჩვენები გადასახლდნენ.

— წავიდეთ?.. წავიდეთ...

— რა ვქნა?.. — თქვა დედამ და კვლავ მიმოიხედა, თითქოს წელან რაღაცათი ხელი მოინაცვლა და ახლა კი ველარ ეპოვნა.

ქერხოს პატარა სარკმელში ინათა.

დილარ ივარდავა

## საით, ბატა!

ლიმონისფერ მთვარის ქსოვილს
დალურსმნული ქარი ატანს, —
წინ ქაობი,
უკან თოვლი,
შენ კი საით, მითხარ ბატა!
უბედურო,
შენი ქედი
ზეგანივით გაზნექილა,
გარეთ როგორ ცივა, დედი,
და კერასთან როგორ თბილა.
ვეშაპია გაწოლილი
დარჩელსა და ანაკლიას,
თვალზე ცრემლის ცვარი წყვილი
გაჩენიდან არ გაკლია.
მიდიხარ და მივალალებ,
ხომ არ გარბის დარჩელით,
ნეტა, ვინლა შეგიბრალებს,
ტანჯვისათვის გაჩენილო.
დაამსხვრიო უნდა ხუნდი,
მზე გიძლოდეს ხსნად და ხატად,
შენი მიწა,
შენი ქუდი,
შენი უნდა იყოს, ბატა!

იამზე ჭელიძე

• • •

სვანეთი ავიდა ვით მთებში ხალიჩა
და შედგა ფიქრების გორად —
სატევრით შემკულნი ვაჟკაცნი გავიცან,
ამ მთების გადვიქეც მონად —
რქებგადასისხლული კოშკები წამოდგნენ,
სიმაღლე ვიგრძენი ცისა,
მართლაც საქართველო დასახეს სამოთხედ,
მე კი ხელმეორედ ვიცან.
სვანეთი ავიდა ვით მთებში არწივი,
ძახილი მაღალი ხმისა,
და ფესვებძლიერი, ძველ ბერიკაცივით
წინაპართ სიწმინდეს იცავს.

## მესიზმრა ვაჟა

ხევსურები ხმალს ლესავდნენ მზეზე
და სიცოცხლე ილვრებოდა ვაზად.
ამ ქარვისფერ შემოდგომის გზებზე
მოდიოდა ხანდაზმული ვაჟა.
ხეობები ბანს აძლევდნენ რიხით,
მთებს მოეხსნათ ფარ-ხმალი და შუბი,
მზე ცას ხევდა ამაღლებულ ფიქრით
და ფშავ-ხევსურთ ენთოთ ძმობის შუქი.
ხმალს ლესავდნენ ვაჟკაცები მზეზე
და სიცოცხლე ილვრებოდა ვაზად.
ამ ქარვისფერ შემოდგომის გზებზე
მოდიოდა დიდებული ვაჟა.

ვაჟა ხორნაული

## ჭიამაია

აყვავებულა ამინდი,
ნისლი გამქრალა მწუხარი...
ჩემს საბედოსთან გაფრინდი, —
ჭიამაიას ვუთხარი.

არ აფრენილა ცერიდან,
დალმართი ჩავლო მთლიანად;
თითის ჩეროში შევიდა
და ხელისგულზე იარა...

მერე ფიქრებში აენთო
ეჭვის ლამაზი ხანძარი:
ეგების ჩემი საბედო
ამ ქვეყანაზე არც არი...

## შიმელეგი

წამოიზარდნენ,
შრიალსა და რწევას იწყებენ;
ვეალერსები,
მეხებიან მკერდზე კანკალით...
ბუნების ძალავ,
ნუ დახარჯავ კუბოს ფიცრებად,
ერთს თუ მოჭრიან,
დაიბადოს ასი აკვანი.

## ფშაური დიალოგი

— ფშარაოს წყარო დამშრალა,
ნეტავ ზამთარშიც ედინა...
— თეთრ ჩოხას იცვამს ლაშარი;
— მაისი გახდის, დედილამ...
— ქარმა ნისლები აშალა,
გორს რომ ეხვია მერდინად...
— მთას ბშვენის ბროლის ჯავშანი,
შენ სიჯეილე, დედილამ...

# ქალები ქართული ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის სათავეებთან



ელისაბედ ჩერქეზიშვილი

ალბათ არცერთი ჟანრი არ შეედრება თავისი პოპულარობით ოპერეტას — მხიარულს, მუდამ ლამაზად მორთულს, ნაირფეროვანს. მას ღიმილი, სიხარული, სიცილი მოაქვს ადამიანებისათვის.

ქართული ოპერეტა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, საბჭოთა ეპოქაში გაჩნდა, მაგრამ მისი ფორმირება და გაფურჩქვნა მომზადებული იქნა ხანგრძლივი განვითარების პროცესით, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებში დაიწყო.

ორმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა მოამზადა ორიგინალური ქართული ოპერეტის დაბადება: ერთის მხრივ ეს იყო საოპერეტო ჟანრის ტრადიციები საქართველოში, მეორეს მხრივ კი. ქართული თეატრალური ხელოვნების ყველაზე პოპულარული ნაირსახეობა — ეროვნული საყოფაცხოვრებო კომედია. კომედია ქართულ სცენაზე წარმოუდგენელი იყო მუსიკის, სიმღერის, ცეკვის გარეშე. ხალხის არაჩვეულებრივი მუსიკალურობა ძველთაგანვე აისახა არა მარტო ვოკალურ-საშემსრულებლო, არამედ აგრეთვე თეატრალურ ხელოვნებაში.

ქართული თეატრი ყოველთვის ქადაგებდა სინთეტიკურ ხელოვნებას და ზრდიდა მსახიობს, რომელიც დაჯილდოებული იყო რთული სინთეტიკური ჟანრის ნიშანდობლივი თვისებებით. განსაკუთრებით გაიზარდა ამგვარი სინთეტიკური ხელოვნების როლი აღორძინებული თეატრის სცენაზე. აქ, მშობლიურ ენასთან ერთად, ჟღერდა მშობლიური მუსიკა. ის ასახავდა უბრალო ადამიანის ფიქრებსა და გრძნობებს. ამ მუსიკაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ქალაქურმა ფოლკლორმა. ეს იმით აიხსნება, რომ თეატრის ძირითადი რეპერტუარის მიმართულებას განაპირობებდა უპირველეს ყოვლისა მისი აუდიტორია, იმ მაყურებლის სულიერი მოთხოვნილება, რომელიც თეატრში მიდიოდა, რათა იქ შვება და იმედი ეპოვა, გულიანად გაეცინა და ცხოვრების უკუღმართობა გაეკიცხა. ეს იყო ქალაქის აუდიტორია. მან ახალი მუსიკალური კულტურა — ქალაქური ფოლკლორი შექმნა.

ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი, როგორც დამოუკიდებელი მუსიკალური კულტურა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. მიუხედავად სხვადასხვა ზეგავლენებისა, ქალაქურმა ფოლკლორმა მკაფიო ინდივიდუალური თვითმყოფადი სახე მიიღო; ქალაქში მცხოვრებმა საზოგადოების სხვადასხვა ფენებმა შეიტანეს მასში მათთვის დამახასიათებელი ტიპიური თვისებები.

ეროვნული ოპერეტის დაბადება განაპირობა ქართულ თეატრში გაბატონებულმა ორმა წამყვანმა ჟანრმა — კომედიამ მუსიკით და ვოდევილმა სიმღერით. ამ ჟანრების განვითარებაში წარუშლელი კვალი დატოვეს ქართველმა მსახიობმა ქალებმა, სცენის შესანიშნავმა ოსტატებმა. 1893 წელს თბილისში გამოვიდა პატარა წიგნი სახელწოდებით „დრამები და ვოდევილე-



ნატო გაბუნია

ბი". კრებულში მოთავსებული ორიგინალური ვოდევილების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია ელისაბედ ჩერქეზიშვილის „სამოცი წლის არშიყი". ჩერქეზიშვილი აღორძინებული თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. მისი შესანიშნავი ნიჭი განსაკუთრებით კომედიურ ჟანრში გამოვლინდა. მან განაგრძო და განავითარა დიდი ნატო გაბუნიას ტრადიციები. საოცრად მუსიკალური ჩერქეზიშვილი კარგად მღეროდა და ცნობილი იყო, როგორც ბრწყინვალე მოცეკვავე.

ყოველ სპექტაკლში, სადაც იგი მონაწილეობდა, მაყურებელი მოწამე ხდებოდა ნიჭიერი მსახიობის მრავალფეროვანი საცეკვაო ხელოვნებისა. ჩერქეზიშვილი ცეკვას მჭიდროდ უკავშირებდა სპექტაკლის სცენურ მოქმედებას.

მისი საუკეთესო პიესა — კომედია-ვოდევილი „სამოცი წლის არშიყი" დაიდგა მსახიობი ქალის საბენეფისოდ. გულუბრყვილოა ვოდევილის სიუჟეტური ფაბულა — სამოცი წლის ქმარი, რომელმაც გადაწყვიტა ახალგაზრდა მეუღლეს უღალატოს. თვითონვე რჩება მოტყუებული. ეს შინაარსი საშუალებას აძლევდა ავტორს ეჩვენებინა მაყურებლისათვის კარგად ნაცნობი, სხარტი სახეები. ვოდევილი იმ პიესის ნიმუშს წარმოადგენდა, რომელიც მაქსიმალურად ამჟღავნებდა შემსრულებლის აქტიორულ ოსტატობას.

ჩერქეზიშვილი ამ ვოდევილში ასრულებდა ქალთა ოთხ სხვადასხვა როლს. მან გარდასახვის ჭეშმარიტი ოსტატობა გამოავლინა. ის წარმოუდგებოდა ბებერ არშიყს ხან ახალგაზრდა ქალ დარიკოდ, ხან მოხერხებულ გლეხ ქალად, ხან ქალაქელ მაჭანკლად და ბოლოს თათრის მკითხავ ქალად. კარგმა მომღერალმა და საუცხოო მოცეკვავემ, ჩერქეზიშვილმა შემოიტანა ვოდევილში სიმღერა და ცეკვა.

მკითხავ თათრის ქალთან შეხვედრის სცენას, როდესაც ბებერი ქმარი სრულიად კარგავს აზროვნების უნარს მისი „საშინელი" მკითხაობის შედეგად, ე. ჩერქეზიშვილი ამთავრებდა აღმოსავლური ცეკვით: „უზუნდარა". აქ ეს ცეკვა ასრულებდა ორგვარ ფუნქციას. ავსებდა მთავარ მხატვრულ სახეს და ამავე დროს აძლიერებდა სცენური სიტუაციის კომედიურობას. ამიტომ ამ სცენას მუდამ თან ახლდა დაუსრულებელი სიცილი — მაყურებელი მოჯადოებული რჩებოდა ელისაბედ ჩერქეზიშვილის საცეკვაო ხელოვნებით.

ქართული დასის საუკეთესო მსახიობების სცენურმა პრაქტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თეატრალური დრამატურგიის, კერძოდ კომედიურ-ვოდევილური ჟანრის განვითარებაში. ხშირად აქტიორული ოსტატობა, ნიჭიერ მსახიობთა სპეციფიური თვისებები განაპირობებდა ძირითადი რეპერტუარის ხასიათს. და, შემთხვევითი როდია, რომ როდესაც უნიჭიერესი ნატო გაბუნიასათვის აკაკი წერეთელმა შექმნა კომედია „კინტო", ხოლო აქვსენტი ცაგარელმა „ხანუმა", ამ ნაწარმოებებს კიდევ უფრო აღრმავებდა შესანიშნავი მსახიობი ქალი, რომელიც დრამატურგების ჭეშმარიტ „თანაავტორად" იქცა.

ნატო გაბუნიას არაერთი ავტორი აღუფრთოვანებია თავისი ოსტატობით და მუსიკალური ნიჭით. ბევრმა მათგანმა მისთვის ახალი პიესები შექმნა. ასე გაჩნდა აკაკი წერეთლის „კინტო".

ტრადიციულად ვოდევილურია ამ კომედიის შინაარსი; ქმარი უკმაყოფილოა ცოლის დამჯერი, სათნო ხასიათით. ამიტომაც გადაწყვიტა ოჯახი მიატოვოს და უფრო მხიარული ცხოვრება ეძიოს. მაგრამ ცოლი როდი დაიბნა: თავისი ქმრის მეგობრის რჩევა-დარიგებით ის კინტოს ტანსაცმელს ჩაიცვამს და ქმრის დროსტარებისას წარუდგება მას, როგორც მისი ცოლის საყვარელი. ქმარი გაოცებული და შერცხვენილია, მას ბოლმა აღრჩობს. ძნელია ცოლის ღალატის დაჯერება, მაგრამ ყოველგვარი ეჭვი დაეკარგება, როდესაც საკუთარი თვალით დაინახავს, რა ჩუმად შეიპარა კინტო მისი საკუთარი ცოლის საწოლ ოთახში. განრისხებული ქმარი ცოლთან შევარდება, მაგრამ გაოცებული და შერცხვენილი რჩება; იქ მხოლოდ თავისი სათნო მეუღლე დახვდება და... იატაკზე დაგდებული კინტოს ტანსაცმელი.

ნატო გაბუნია იყო ამ პიესაში ერთადერთი ქალის როლის შემსრულებელი. მან მოაჯადოვა მაყურებელი გარდასახვის ოსტატობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხიარული, სიცოცხლით სავსე კინტოს როლს ანსახიერებდა. მსახიობი ქალი განსაკუთრებით კარგი იყო, როდესაც კინტო უმღერის თავისუფლებას, სიყვარულს და განადიდებს თავის სატრფოს. ა. წერეთლის მიერ კინტოსათვის სპეციალურად დაწერილ ლექსებს გაბუნიას ქალი პოპულარულ ქალაქურ ჰანგებზე ასრულებდა. მან მოახდინა პირველი ცდა კინტოს მუსიკალური დახასიათებისა, საუცხოოდ მიბაძა რა მისი სიმღერის სპეციფიკურობას.

იმ დრამატურგთა შორის, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ ქართული თეატრის რეპერტუარს, იყო რაფიელ ერისთავი. მის კომედიებსა და ვოდევილებს შორის განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა „ბიძასთან გამოხუმრება". ავტორმა ის შესანიშნავ მსახიობ ქალს მაკო საფაროვა-აბაშიძეს უძღვნა. ეს პიესა დიდი პოპულარობით სარგებლობდა და, თუმცა რუსულიდან იყო გადმოკეთებული, მთელი



მაკო საფაროვა-აბაშიძე
და ვასო აბაშიძე

ნაწარმოები, მოქმედება, შინაარსი, მხატვრული სახეები ქართული სულით განიმსჭვალა.

ქალაქში დასახლებული ახალგაზრდა სანდრო მხიარულ და უდარდელ ცხოვრებას ეწევა. ის სოფელში მცხოვრებ მდიდარი ბიძის ქონებას ანიავებს. ამ ამბავს რომ შეიტყობს, განრისხებული ბიძა ქალაქში ჩამოდის. ერთ უბედურებას მეორე ემატება: სანდრო თურმე ღარიბ, უმზითვო ქალის შერთვას აპირებს. ბიძა სახლს მიაშურებს. აქ მას დახვდება უცნობი ქალი. ნატო წარმოსდგება მის წინაშე ხან ამპარტავან ქალბატონად, ხან ჭორიკანა სოფლის ქალად, ხან მოდაზე გამოწყობილ ქალაქელად. ის ეპრანჭება და ემანჭება მოხუცს, მღერის, ცეკვავს, რათა გაართოს. მაგრამ არც ერთი ქალი თვალში არ მოსდის სანდროს ბიძას. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მას წარმოუდგება ღარიბულად ჩაცმული, მორიდებული და კეთილშობილი გოგონა ნატო — ბიძია მოჯადოებულია — სწორედ ასეთ ცოლს ინატრებდა თავისი სანდროსათვის. მაკო საფაროვა აქ ოთხ სხვადასხვა როლს ასრულებდა. ოთხივე სახის გახსნაში წამყვან ადგილს სიმღერასა და ცეკვას ანიჭებდა. მისი ვოკალური მონაცემები აქ განსაკუთრებული სისრულით ვლინდებოდა. მაკო დიდი სითბოთი და უშუალობით ასრულებდა გიტარაზე პოპულარულ ქალაქურ რომანსებსა და სიმღერებს. ხოლო, როდესაც თავისი გმირი ქალის უმანკოება და სათნოება უნდა გადმოეცა, ლირიკულ „მზეშინა და მზეგარეთას“ მიმართავდა.



ტასო აბაშიძე — კლეოპატრა (შოუს „კეისარი და კლეოპატრა“).



ელისაბედ ჩერქეზიშვილი

ქართული ოპერეტის სათავეები უნდა ვეძიოთ არამარტო ეროვნულ კომედიურ და ვოდევილურ რეპერტუარში. განსაკუთრებულად საინტერესო პერიოდი საოპერეტო ჟანრის განვითარებაში დაიწყო მაშინ, როდესაც ის ქართული დრამატული თეატრის სცენაზე გადავიდა. აქ მას ნამდვილი ეროვნული კოლორიტი მიენიჭა, დაუახლოვდა ქართულ საყოფაცხოვრებო კომედიასა და გადმოქართულებულ ვოდევილს.

მხიარული, ხასხასა, ხატოვანი ოპერეტა განსაკუთრებით ხიბლავდა ქართული თეატრის მსახიობებს თავისი შინაგანი ბუნებით. ისინი ხომ დაჯილდოვებული იყვნენ მრავალფეროვანი ნიჭით და უნარი შესწევდათ არა მარტო ეთამაშათ, არამედ ემღერათ და ეცეკვათ კიდეც.

უდიდესი როლი საოპერეტო ჟანრის განვითარებაში შეასრულა აბაშიძეების ოჯახმა: ვასომ, მაკომ და მათმა ქალიშვილმა ტასომ.

ისევე როგორც ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა იყო პირველი მსახიობი ქალი, რომელმაც წარმოადგინა სცენაზე ქართული თეატრალური ხელოვნების ტიპიური თვისებები, ასახული თამაშობის, მუსიკისა და ცეკვის ჰარმონიულ ერთიანობაში. ნატო გაბუნიასთან ერთად მაკო საფაროვამ განამტკიცა პროფესიულ სცენაზე კომედია, როგორც წამყვანი ჟანრი. „ქართული მუსიკალური კომედიის“ პირველი მერცხალი უწოდეს მაკოს. ვასოსთან ერთად მან მიანიჭა ტრადიციულ ოპერეტას ნამდვილი ეროვნული სული.

ოფენბახის ოპერეტაში — „მეჯლისი იტალიელებით“ — მაკო საფაროვა თამაშობდა ახალგაზრდა ქალიშვილის ერნესტინას როლს. ეს გახლდათ ტიპიური ქართველი გოგონა — ალერსიანი, ნაზი, კდემამოსილი, თავისი სატრფოს კანიფასის მოლოდინში მაკო მღეროდა რომანსს. ის უცვლელად სტოვებდა ოფენბახის მელოდიას, ხოლო ტექსტად პოპულარულ „ციცინათელას“ სიტყვებს იყენებდა.

პირველი პროფესიული საოპერეტო მომღერალი ქალი ქართულ სცენაზე იყო ტასო აბაშიძე. დედისდაგვარად მას შემოჰქონდა სცენაზე მხიარულება, ახალგაზრდობა, ღიმილი. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო ტასოს მიერ ნიჭიერად განსახიერებული ორი როლი: ბეტინა — ოდრანის ოპერეტაში „მასკოტა“ და გულჩორა ჰაჯიბეკოვის მუსიკალურ კომედიაში „არშინ-მალ-ალან“. ტასოს „ქართული სცენის მასკოტა“ შეარქვეს, ის იყო პირველი მსახიობი ქალი, რომელმაც გულჩორას როლი განასახიერა, ცნობილია, რომ მანამდე ამ როლს აზერბაიჯანში მამაკაცები ასრულებდნენ.

როდესაც ოფენბახის „პერიკოლაში“ ტასო აბაშიძე და ალექსანდრე იმედაშვილი პერიკოლასა და პიკილოს ცნობილ დუეტს მღეროდნენ, მათი შესრულება ისეთი ეროვნული სურნელებით იყო შეფერადებული, რომ უზომოდ ხიბლავდა მსმენელს.

მდიდარი და მრავალფეროვანი იყო ქართული მუსიკალური კომედიის წყაროები, რამაც მოამზადა ნიადაგი ეროვნული ოპერეტის დაბადებისათვის. თავისი წვლილი ამ ჟანრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეიტანეს შესანიშნავმა ქართველმა მსახიობმა ქალებმა.

**მირა ფირხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი პიონერ-თაგანი



ოთახი ბავშვების ჟრიამულით არის სავსე. მაგიდაზე მელანშეუშრობელი საზეიმო კედლის გაზეთია გაშლილი. ტახტზე ჰაეროვანი, ნაირფერი ლოლბანდის ზღაპრული კაბები, საკარნავალო ნიღბები და ჭრელი ყვავილწნულები ალაგია. ის იყო დეიდა კიმამ ლალის ფრთაფარფატა კაბა ჩააცვა, რომ კარზე ვიღაცამ დარეკა.

— პაატა მოვიდა, პაატა! — შესძახეს ბავშვებმა, მაგრამ კარი რომ გააღეს, ნაცვლად პაატასი, კიმა დეიდას მეუღლე — ძია ეფიმი შერჩათ ხელში. იგი სამუშაოდან დაბრუნდა, ამდენი სტუმრის დანახვა არ გაჰკვირვებია. მათ სახლში მეზობელი ბავშვების სტუმრობა უჩვეულო არ არის, შეიძლება ძია ეფიმი ძალზე დაღლილი იყო, მაგრამ სახეზე მაინც სიამე გამოეხატა და გაშინაურებულ სტუმრებს ღიმილით მიესალმა.

დეიდა კიმამ თვალის წამში აუხსნა მდგომარეობის სირთულე: — ხვალ ეზოში კარნავალი გვაქვს, ტანსაცმელი კი მზად არ არის, რეპეტიციას გადავყევით, — თან ლაპარაკობდა დეიდა კიმა, თან ლალის კაბას სიფრიფანა ნაოჭებს უსწორებდა, მერე კი მტყუანივით დასძინა:

— იცი, ამ ბავშვებთან ისე გავერთე, რომ სადილიც არ მომიმზადებია! მანდ რძე, კარაქი და პურია, ჭამე, გეთაყვა და მოდი, შენც მოგვეხმარე, რა?!

— არის, მოგეხმაროთ! — ძია ეფიმმა ხელი აღმართა და შეეხუმრა მეუღლეს.

აი ეს ეპიზოდი გამახსენდა, როცა დეიდა კიმას სამახსოვრო ალბომში იმ საკარნავალო მზადების ამსახველი ფოტოსურათი დავინახე.

ამ ეპიზოდში კარგად ჩანს დეიდა კიმას ენთუზიაზმი, რომლითაც ის საზოგადო საქმეს ეკიდება, მეგობრობის ძალა, რომელიც დეიდა კიმასა და მისი ეზოს ბავშვებს აკავშირებს, მეუღლეთა ის ურთიერთგაგება და თანაგრძნობა, რომელიც ოჯახურ სითბოს ჰქმნის.

ალბომის თავფურცელზე დეიდა კიმას ლამაზად დაუწერია: აქ ასახულია ჩემი პიონერული და კომკავშირული ცხოვრების ყველაზე სამახსოვრო დღეები.

ვფურცლავ ამ ალბომს, მივყვები დეიდა კიმას მოგონებებს: ეს იყო 1922 წლის გაზაფხულის დღეები. საქართველოში პირველი პიონერული რაზმები იქმნებოდა. ერთ დღეს, თბილისის საორთქლმავლო დეპოს ეზო პიონერებმა აახმიანეს. „მოზარდ თაობას — კომუნისტური საზოგადოების მომავალ აღმშენებლებს — ჩვენი გულწრფელი სალამი!“ — ასეთი ლოზუნგით შეხვდნენ შეფები — ამ ქარხნის მუშები ალისფერყელსახვევიან ბავშვებს, ლენინის რაიონის პირველი პიონერული კოლექტივის წევრებს, რომლებმაც სიბეჯითით და შრომისმოყვარეობით უფროსებს შორის ავტორიტეტი მოიპოვეს. მათ საზეიმო შეკრებაზე საპატიო პიონერად მიიღეს ძველი ბოლშევიკი, ლენინური გვარდიის წარმომადგენელი მიხა ცხაკაია. ისინი შეხვდნენ სერგო ორჯონიკიძეს და 1924 წლის მაისში მისგან მოისმინეს სასიხარულო ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ბავშვების კომუნისტურ ორგანიზაციას დიდი ბელადის — ლენინის სახელი ეწოდა.

ამ პირველი პიონერული კოლექტივის პირველ მწკრივში მიხეილ ლელაშვილის, ანია და ვიტია ზენტეკების, გოგი შარიამულის, შურა მახარაძის, გოგი ამირხანოვის გვერდით კიმა ამირხანოვაც იდგა.

თუმცა, მას მაშინ კიმას არ ეძახდნენ, ეს სახელი ცოტა მოგვიანებით დაერქვა.

იმ დღეს საზეიმოდ გამოიყურებოდა საორთქლმავლო დეპოს სადურგლო საამქრო, ის საამქრო, სადაც არაერთხელ შეკრებილან პირველი პიონერული კოლექტივის წევრები. ამ პიონერულმა რაზმმა მისცა კომკავშირში შესვლის რეკომენდაცია ანა ამირხანოვას, გრიშა სილაძეს და სარა გოლდბაუმს, ხოლო, იმავე საღამოს, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში, ისინი კომკავშირში საზეიმოდ მიიღეს. იმ საზეიმო კრებაზე ახალბედა კომკავშირელს ანა ამირხანოვას საზეიმოდ ეწოდა კიმა. ეს რუსული ასოებისაგან შედგენილი სიტყვაა და ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს ნიშნავს. ეს სახელი სწორედ რომ შეჰფეროდა კიმას, იგი ხომ თავის უბანში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ბავშვებში ხალისითა და სიყვარულით აჩაღებდა მეგობრობის ცეცხლს.

დღე დღეს მიჰყვებოდა, წელიწადი წელიწადს და კიმა თავის თანატოლებთან ერთად მხარში ედგა ლენინის რაიონის კომკავშირელებს ახალი ცხოვრების, საბჭოთა წყობილების დამკვიდრებაში. ერთ დღეს რომ დეპოს მუშებთან ერთად საშეფო სოფელში ბარებს და თოხებს ეზიდებოდა და გლეხებისათვის კონცერტებს მართავდა, მეორე დღეს პირველი კომკავშირული კინოთეატრის „განთიადის“ მშენებლებს ედგა მხარში, — წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ზრუნავდა.

მერე საზოგადო საზრუნავს თავისი ოჯახისათვის ზრუნვა შეემატა. ისე გაზარდა კიმამ თავისი ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი, რომ საზოგადო საქმე არ მიუტოვებია.

საგულისხმო ის არის, რომ ოთხივე შვილი ესტაფეტასავით გადასცემდა ერთმანეთს იმ პიონერულ ყელსახვევს, რომელიც კიმამ პიონერობაში თავისი ხელით შეკერა. ის ყელსახვევი ამჟამად პიონერთა საკავშირო ბანაკის — „არტეკის“ მუზეუმშია გამოფენილი. კიმა მოწიწებით ინახავს იმ სიგელებს, რომლებიც ბავშვებთან აქტიური მუშაობისათვის დაიმსახურა. უფრთხილდება იმ პიონერულ ყელსახვევს, რომელიც ფორპოსტელებმა თავიანთი ორგანიზაციის საპატიო წევრობის ნიშნად გადასცეს დეიდა კიმას.

„ფორპოსტი“ მოწინავე პოსტს ნიშნავს და თავის ეზოში — ავჭალის გზატკეცილზე მდებარე № 50 სახლში შექმნა დეიდა კიმამ. მოწინავეთა სახელი დეიდა კიმას პატარა მეზობლებმა მაშინ გაამართლეს, როცა მათ უბანში უსაქმოდ მოხეტიალე ბიჭების თავშესაფარი „ბირჟა“ დაშალეს და ის ბიჭები ეზოს გამწვანებისა და სასპორტო მოედნის მოწყობის საქმეში ჩააბეს.

„ფორპოსტი“ დღესაც მოქმედებს და ორასამდე ბავშვს აერთიანებს. კიმა დეიდამ სამოც წელს გადააბიჯა, უკვე ჭაღარაა, მაგრამ პიონერთა იმ გვარდიას ეკუთვნის, იმედითა და მონდომებით რომ აყალიბებდნენ პირველ რაზმებს. მის გულში ჯერ არ ჩამქრალა პიონერული ცეცხლი, ეს ცეცხლი, საზოგადო სასარგებლო საქმის შესასრულებლად, მისი ეზოს პატარების გულებსაც ანათებს.

რუსუდან გამსახურდია




# წლები, წიგნები, სიყვარული.

„— მოწოდება და სიყვარული რომ არ გქონდეს, ჩვენთან სამუშაოდ როდი მოხვიდოდი“...

თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა დირექტორის მოადგილე, ალბათ, ეს წიგნებთან მომუშავესთვის აუცილებელი პირობაა..., მაგრამ აღარ დაამთავრა და ათასობით ჩაწკრივებულ კატალოგების ყუთებთან მიიყვანა სულ ახალგაზრდა, ოცდაერთი წლის ქალიშვილი. ამ დღიდან ნინო ლაიშვილი კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დიდი ოჯახის წევრი გახდა.

აქ, ბიბლიოთეკაში გაატარა მთელი თავისი ახალგაზრდობა ნინომ, აქ, წიგნის ახლოს, წიგნის გვერდით. სიყვარულით და პატივისცემით იხსენებს თავის საყვარელ მასწავლებლებს, მაშინ უკვე სახელმოხვეჭილ ბიბლიოგრაფებს: ნ. ლორთქიფანიძეს, ლ. იაგრაშვილს, ნ. აკერბას, მ. მელაძეს, ს. ტატიშვილს, თ. მაჭავარიანს და ლ. ხაბურზანიას, რომელთა გვერდით ყოფნამ და მუშაობამ ბევრი რამ მისცა.

ინტერესიანი, ცოცხალი ქალიშვილი ყოველმხრივ ცდილობდა მასწავლებლებისათვის მიებაძა, ამაღლებულიყო თავისი კულტურით და ცოდნის დონით, ათი ყური და ათი თვალი გამოება. ამას მოითხოვდა წიგნის უკიდეგანო სამყარო, რომელიც ყოველდღიურად ასობით ახალ-ახალი შრომით ივსებოდა. მათი მოვლა-პატრონობა ბიბლიოთეკარისგან დაუცხრომელ შემოქმედებით შრომასა და სიყვარულს მოითხოვდა.

ბიბლიოგრაფიულმა სამუშაომ მალე გაიტაცა. ეცნობოდა უძველეს ხელთნაწერებს და ნაბეჭდ წიგნებს, პერიოდიკის იშვიათობას, მსოფლიო მოკალმეთა ნაწარმოებებს.

...მას ბავშვობიდანვე უყვარდა ლიტერატურა, მწერლობა და არავის გაჰკვირვებია, როცა თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდა.

— ბედნიერი იყო ჩემი თაობა. ჩვენ ვუსმენდით შესანიშნავ მეცნიერებს: კ. კეკელიძეს, არ. ჩიქობავას, დ. უზნაძეს, ვ. თოფურიას, შ. ნუცუბიძეს, ს. ყაუხჩიშვილს, ი. აბულაძეს, მ. ზანდუკელს. მათი ლექციები ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი იყო, არავის გვეცალა გართობისათვის, — იგონებს იგი.

სამამულო ომის წლებში ნინო ლაიშვილი კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში კულტმასობრივ განყოფილებას ხელმძღვანელობს.

ყველა მიხვდება, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ დროზე და კარგად მოწყობილ ლიტერატურულ გამოფენებს, მიძღვნილს მნიშვნელოვანი თარიღებისადმი, პარტიის ახალ-ახალი დადგენილებებისადმი. ნინო გამოფენებს მართავდა საშეფო ჰოსპიტლებსა და სოფლებში ხსნიდა მოძრავ ბ ბლიოთეკებს, ფრონტელ ამხანაგებს აწვდიდა საჭირო ლიტერატურას, აწყობდა ლექცია-მოხსენებებს. ხშირად უნახავთ, როგორ მიეშურებოდა ნინო გაზეთების დასტით ხელში ჰოსპიტლისკენ — ქართველ, სომეხ, რუს თუ აზერბაიჯანელ დაჭრილ მეომრებთან.

ბიბლიოთეკაში მუშაობამ დაუახლოვა ნინო ლაიშვილი გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს: გალაქტიონს, ლეონიძეს, გრიშაშვილს, ირაკლი ანდრონიკაშვილს და სხვებს.

„ჩემი გამოფენის ავან-ჩავანს ნინო ლაიშვილს“, — ასეთი წარწერით მიუძღვნია მისთვის წიგნი პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს.

„თქვენ დიდად დამეხმარეთ მიმეკვლია ძვირფასი მასალები... თქვენ მომეცით საშუალება დამეწერა ჩემი დიდი შრომა მიხეილ ლერმონტოვის შესახებ, რომლის დიდი სახელი დაკავშირებულია საქართველოსთან და ქართველ ხალხთან“, — ემადლიერება ირაკლი ანდრონიკაშვილი...

ნინო ლაიშვილმა ძალზე საინტერესო გზა გაიარა. ის დიდხანს მუშაობდა ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ, მრავალი საზოგადოებრივი დავალება უტვირთია. თავის დროზე იყო კომკავშირის ორგანიზატორი, აგიტატორი, კონსულტანტი, პარტბიუროს მდივნის მოადგილე.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ნინო ლაიშვილი ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოგრაფად მუშაობს. იგი მთელ თავის გამოცდილებას ახმარს ახალი კადრების მომზადებასა და აღზრდას. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში გადასცემს ბიბლიოგრაფია-ბიბლიოთეკამცოდნეობას. გატაცებით მუშაობს ლიტერატურის სარეკომენდაციო სიების შედგენაზე, ამავე დროს, დახმარებას უწევს მასობრივ ბიბლიოთეკებს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული საკითხების მოგვარებაში.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება, სადაც დღეს ნინო მუშაობს. თავისი ხასიათითა და სტრუქტურით ვრცელ უბანს მოიცავს. მან შეადგინა 50 საძიებელი, მათ შორის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია.

ჭეშმარიტად ფუნდამენტურია მისი ნაშრომი — ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს. მასში მოყვანილია ცნობები მსახიობისადმი მიძღვნილი სტატიების, გამოკვლევების და მონოგრაფიების შესახებ.

სწორედ ამ შრომაში იჩინა განსაკუთრებით თავი ნინო ლაიშვილის მაღალნიჭიერებამ და მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ. ეს 350-გვერდიანი საძიებელი კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ გამოსცა. წიგნს მაღალი შეფასება მისცა კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის პროფესორმა ი. დოლინსკიმ.

ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორი პავლე კანდელაკი, იმხანად საავადმყოფოს საწოლს მიჯაჭვული, წერდა: „...ეს ერთი და სხვა მრავალი ასე კეთილსინდისიერად შეგისრულებინოთ და ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობა გესახელებინოთ. წინამდებარე ნაშრომი მართლაც კაპიტალურია და ჩვენი კულტურისათვის უაღრესად სასარგებლოა“...

მადლობას უხდიდა ნინო ლაიშვილს თვითონ ვერიკო ანჯაფარიძე: „დაბლა ვიხრი თავს თქვენს წინაშე ამ დიდი და მძიმე შრომისათვის“.

ასევე მნიშვნელოვანია ბიბლიოგრაფიული საძიებლები სიმონ ჩიქოვანისა და იოსებ ნონეშვილის შესახებ. ეს ნაშრომი დიდად შეუწყობს ხელს პოეტების ცხოვრებისა და შემოქმედების შემსწავლელთ.

ნინო ლაიშვილის დაუღალავი მარჯვენის წყალობით, ქართველი საზოგადოება მალე მიიღებს ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს კოტე მარჯანიშვილის, ევგენი მიქელაძის, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე ახმეტელის, პეტრე ამირანაშვილის და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ახლა საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი ნინო ლაიშვილი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეა, ის, თავისი საქმის პატრიოტი, ხშირად გამოდის ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე სერიოზული საინტერესო წერილებით.

**ნინო ჩიხლაძე,**
**ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# გარდა-მავალი ასაკი

მოზარდის ასაკს გარდამავალ ასაკსაც უწოდებენ, ის დაახლოებით 11-12 წლიდან იწყება და 15-16 წლისთვის მთავრდება. 15-16 წლის მოზარდი მხოლოდ სქესობრივ მომწიფებას ასწრებს. ფიზიკური, გონებრივი და სოციალური მომწიფების პროცესები ჭაბუკობის მთელ მანძილზე გრძელდება და, ძირითადად, ამ ასაკთან ერთად მთავრდება.

ამ ასაკს „წინააღმდეგობათა ასაკსაც“ უწოდებენ, რადგანაც მას, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი რ. ნათაძე: „ძველისა (ბავშვური თვისებების) და ახლის (მოზრდილის თვისებების) შორის ბრძოლის შედეგად, მართლაც, ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებათა რიგი ახასიათებს“.

ერთის მხრივ, ეს არის ზრდისა და აღმავლობის პერიოდი, მეორე მხრივ მას მოდუნებულობა, დასუსტება და დეპრესიულობა ახასიათებს, ეს არის სასიცოცხლო ძალების აღმავლობის და გაფურჩქვნის პერიოდი, ამავე დროს ხშირად ამ ასაკში ხდება ფსიქიკური ტრავმები, ნერვული დაავადებანი და სხვ. ერთი მხრივ, ამ ასაკს ახასიათებს სენტიმენტალობა და რეალიზმს მოწყვეტილი ოცნება, მეორე მხრივ, ეს არის პრაქტიკული ინტერესების გაღვიძების, ტექნიკური აზროვნების გაფურჩქვნის და მომავალი პროფესიისადმი ინტერესის გაღვიძების ასაკი. ამ ასაკში პირველად იღვიძებს ინტერესი თავისი „მეს“, თავისი პიროვნების და შინაგანი სამყაროს მიმართ და, მეორე მხრივ, ეს არის კაცობრიობის კულტურაში შეზრდის ასაკი. ამ ასაკს ახასიათებს გულჩათხრობილობა, ინდივიდუალიზმი, თავის შინაგან სამყაროში ჩაკეტვა, და ასევე ახასიათებს კოლექტივიზმის ძლიერი განვითარება და საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივება.

გარდამავალი ასაკიდან იწყება მოზარდის სქესობრივი მომწიფება. ის შინაგან აღგზნებულობას, მოუსვენრობას, ფიზიკური და სულიერი ძალების მოჭანცულობას განიცდის, რაც მის ქცევაშიც ვლინდება. მის ხასიათში თავს იჩენს უკმაყოფილება და გულცივობა, უხეშობა და სიჯიუტე, რაც წინა ასაკში მისთვის სრულიად უცხო იყო. ამ ასაკში მოზრდილები ხშირად გრძნობენ თავიანთი მოქმედების უაზრობასა და მოთხოვნის უსაფუძვლობას, ამჩნევენ თავიანთი უხეშობის, გულცივობისა და ჯიუტობის უადგილობას და ცდილობენ გახდნენ უფრო სხვანაირნი, უფრო უკეთესები, მაგრამ შინაგან იმპულსებს, რომლებიც მათ აქეთკენ უბიძგებს, ვერ იმორჩილებენ, ამიტომ მათში საკუთარი ძალებისადმი რწმენაც სუსტდება.

ამ ასაკში გოგონები ადვილად ექცევიან სქესობრივად გარყვნილი ადამიანების გავლენის ქვეშ. ამიტომ მათ განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა სჭირდებათ.

სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნების გამოჩენასთან ერთად ირღვევა სხეულის პროპორციულობა. მოზარდი სწრაფად იწყებს ზრდას. თავდაპირველად მას კიდურები ეზრდება, ხოლო თვით სხეული წინანდელ ზომას ინარჩუნებს. ეს იწვევს სხეულის პროპორციის დარღვევას. მას ეზრდება ცხვირი, ნიკაპი, ყურები, რის გამოც სახის ნაკვთები უხეში და მოუქნელი ჩანს. საკუთარი სხეულის ასეთი თავისებურებანი მოზარდში უკმაყოფილებას იწვევს. ამას კი წინდაუხედავი უფროსები უფრო აძლიერებენ საყვედურებით, დაცინვით და შენიშვნებით. უფროსებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა, მოზარდს ფრთხილად უნდა აუხსნან ამისი მიზეზი და, საყვედურებისა და დაცინვის ნაცვლად, მეტი თანაგრძნობით მოეკიდონ. ამ ასაკში შესამჩნევად ვითარდება და მაგრდება კუნთები, ეს იწვევს საკუთარ შესაძლებლობებზე გაზვიადებულ წარმოდგენას, რაც ზოგჯერ საკმაოდ დიდი უსიამოვნების მიზეზი ხდება.

გარდამავალ ასაკში ზოგჯერ თავის ტვინი ვერ იღებს საკმაო რაოდენობის სისხლს, ეს იწვევს მუშაობის უნარიანობის დაქვეითებას, მოზარდი ადვილად იღლება და სიზარმაცისაკენ მიდრეკილება უჩნდება, ამიტომ ამ ასაკში მას უნდა ავარიდოთ მეტისმეტი გადატვირთვა და გადაღლა. საჭიროა მოზარდი შევაჩვიოთ გამართულად სიარულს, მეცადინეობის დროს სწორ და ღრმა სუნთქვას, რადგან მისი ორგანიზმი, გაძლიერებული ფიზიკური ზრდისა და ნივთიერებათა ცვლის გაცხოველების გამო, ჟანგბადის გაცილებით მეტ რაოდენობას მოითხოვს, ვიდრე ზრდადასრულებული ორგანიზმი.

მოზარდის ემოციური ცხოვრება თავისებური ხდება. სასკოლო წარმატების შეფასება და უფროსების მიერ გამოყენებული საამღზრდელო ღონისძიებანი — წაქეზება თუ სასჯელი, — ახლა გაცილებით უფრო მკვეთრად გამოხატულ რეაქციებს იწვევს, ვიდრე წინათ. განსაკუთრებით განიცდის მოზარდი, როცა ხედავს ან ჰგონია, რომ უფროსები უსამართლოდ ექცევიან, არასწორად აფასებენ მის ცოდნასა და საქციელს, უსაფუძვლოდ შეაქვთ ეჭვი მის ზნეობრივ სიწმინდეში, ან კიდევ დაუმსახურებელ სასჯელს ადებენ. ჰოდა, მაშინ იგი უფროსების მიმართ უფრო უხეში და ჟინიანი ხდება. როცა მოზრდილი ემოციურად აღგზნებულ მდგომარეობაშია, აღმზრდელი მის ყოველ ნაბიჯს დიდი მოთმინებით და სიმშვიდით უნდა შეხვდეს. აღმზრდელის ნერვიული გაღიზიანება, მისი სიანჩხლე და ხმააწეული ლაპარაკი კიდევ უფრო აღიზიანებს მოზარდს და მათ ურთიერთობას ისეთ ხასიათს აძლევს, რომელიც სრულიად უვარგისია პედაგოგიური თვალსაზრისით.

ამ ასაკისათვის დამახასიათებელია ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში მოულოდნელი გადასვლა. გარდამავალი ასაკის ვაჟი ან გოგონა, რომელიც რაიმე შემთხვევის გამო მთელი თავისი არსებით ხარობს და ხალისობს, ერთბაშად და მოულოდნელად, უმიზეზოდ სრულიად საწინააღმდეგო ემოციურ მდგომარეობაში გადადის. მშობლებიც და აღმზრდელებიც ამ ცვლილებების კურსში უნდა იყვნენ, გაითვალისწინონ გარდამავალი ასაკის თავისებურებები და სწორი ხელმძღვანელობა შეძლონ.

გარდამავალ ასაკში დიდი გარდატეხა ხდება ინტელექტუალური განვითარების მხრივაც, თავს იჩენს აზროვნების ახალი, უფრო მაღალი ფორმები და მიმართულებანი. მომწიფებისწინარე ასაკიდან მოზარდი სწრაფი ტემპით იწყებს გადასვლას თვალსაჩინო, კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულ, განყენებულ აზროვნებაზე. V-VI კლასის მოსწავლეთა აზროვნება არსებითად მაშინ იწყებს აღქმისა და წარმოდგენის ტყვეობიდან განთავისუფლებას და აბსტრაქციის ნამდვილი, ლოგიკური ოპერაციების წარმოებას, რაც ჯერჯერობით ყოველთვის წარმატებით ვერ ხორციელდება. ამას შედეგად მოსდევს გარდამავალი ასაკის მოზარდთა სასწავლო წარმატების ერთგვარი დაქვეითება, რასაც ხელს უწყობს ასაკის მეორე თავისებურება, დაღლილობისა და სიზარმაცისაკენ მიდრეკილება. აი, რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მომწიფებისწინარე ასაკში ინტელექტუალურ განვითარებას, სასწავლო წარმატების ზრდის ნაცვლად, დაქვეითება მოსდევს.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მაშინ შეიძლება მოინახოს, თუ მასწავლებელი, აღმზრდელი, მშობელი, კვალდაკვალ მიჰყვება ბავშვთა აზროვნების მუშაობას და ყოველთვის იგრძნობს, სად და რა ხასიათის დახმარება სჭირდება მას. მასწავლებელი ხშირად უნდა ამოწმებდეს, მოსწავლე მართლა აზროვნებს თუ გაზეპირებული სიტყვებით ლაპარაკობს.

მოზრდილობის ასაკში განვითარებას იწყებს დამოუკიდებელი აზროვნება. მოზარდი ცდილობს ქონდეს საკუთარი აზრები, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. იგი კრიტიკულად ეკიდება უფროსების, მშობლების და მასწავლებლების მოსაზრებებს. და ხშირად ჰგონია, რომ ისინი ცდებიან. როცა ის უფროსს ამგვარ შეცდომაზე მართლაც „დაიჭერს“. განსაკუთრებულ კმაყოფილებას განიცდის და თავის კრიტიკულ აზროვნებას უფრო მეტი შეუპოვრობით ანვითარებს. ხშირად უფროსები და აღმზრდელებიც კი აბუჩად იგდებენ და დაცინვის საგნად ხდიან მოზარდის კრიტიკულ შენიშვნებს. ასეთი მოქმედება მცდარია, რადგან იგი ჩანასახშივე ახშობს ამ ძვირფას თვისებას — კრიტიკულ აზროვნებას და ინტელექტუალური აღზრდის საქმეს დიდ ზიანს აყენებს. მოზარდს ფრთხილად უნდა ვუჩვენოთ შეცდომებზე, რომელსაც იგი მსჯელობაში უშვებს, და მივუთითოთ სწორ გზაზე, ისე, რომ არ შევლახოთ მისი თავმოყვარეობა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოზარდი ამ პერიოდში პირველად გრძნობს ბუნებასთან ერთიანობას და განიცდის მის ზემოქმედებას. მას ებადება სურვილი მთელი საათები ლაჰყოს ბუნებაში განმარტოებით, იტაცებს ლაშქრობები, ექსკურსიები და ტურისტული მოგზაურობები.

გარდამავალ ასაკში ხშირად აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებულ ურთიერთობას ამწვავებს და მტკივნეულს ხდის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მოზარდი თავის ძალებს მეტისმეტად გადაჭარბებულად აფასებს, მეტ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას მოითხოვს, ვიდრე მას ფაქტიურად შეიძლება მიეცეს, ხოლო უფროსები მის ძალებს ზღუდავენ და მოზარდს იმდენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობასაც არ აძლევენ, რაც მას მისი ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით ეკუთვნის, რის გამოც მოზარდი მეტად უხეში, ჯიუტი და ქედნიანი ხდება, ცხადია, არ შეიძლება რომ მოზარდს ისეთი თავისუფლება მივცეთ, როგორსაც მოითხოვს, რადგან შეიძლება ის სახიფათო გზას დაადგეს და დაიღუპოს — მას ხომ თავი ზრდადასრულებულ და დამოუკიდებელ ადამიანად მიაჩნია!

იგი ხშირად ტრაბახობს, თავს იქებს ისეთი თავგადასავლებით, რომელსაც, საერთოდ, არა ჰქონია ადგილი მის ცხოვრებაში; გოგონები კი თვითონ თხზავენ სასიყვარულო ურთიერთობის ისტორიებს.

როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში აღმზრდელი?

მან აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს აღსაზრდელის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, უნდა აგრძნობინოს მოზარდს, რომ მას ისე აღარ უყურებენ, როგორც ბავშვს; მასთან შეთანხმებით დასახოს ზოგიერთი სააღმზრდელო ღონისძიებები, ასე აღსაზრდელი მას უფრო ადვილად მიყვება, ვიდრე, მაშინ, როცა ძალით და ბრძანებებით ეცდება მის დამორჩილებას, აღზრდის საქმის მტკიცე და განუხრელი ხელმძღვანელობა სრულებით არ მოითხოვს აღმზრდელის სიმკაცრეს, დიქტატორობას, როგორც ეს ზოგიერთ მშობელს და მასწავლებელს ჰგონია; პირიქით, გარდამავალ ასაკში მას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. მეგობრულ და თბილ ურთიერთობაში მოზარდებს შეიძლება გავაკეთებინოთ ის, რაც ჩვენ გვინდა და აღზრდის ამოცანებს და მიზნებს შეეხამება. ის თვითონაც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოქმედებს ყოველგვარი იძულების გარეშე, თავისუფლად და დამოუკიდებლად.

მოზარდი გარდამავალ ასაკში ზნეობრივი ნორმების შეძენისკენ და მაღალი იდეალებისკენ მიისწრაფვის. საერთოდ ეს ტენდენცია ადამიანში საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენით აღმოცენდება. მას, მოზარდს, სურს გახდეს ისეთი, როგორიცაა მისი ამხანაგი, ოჯახის წევრი, ნათესავი, მეზობელი, წაკითხული წიგნის გმირი, ან რომელიმე ცნობილი პიროვნება; აქაც საჭიროა აღმზრდელის დახმარება და არა აქტიური ჩარევა, რომ მას შეურჩიოს ამხანაგი, მეგობარი, მისაბაძი პიროვნება და სხვა.

ერთი სიტყვით, გარდამავალი ასაკი აღმზრდელისაგან მოითხოვს მეტ სიფრთხილეს, წინდახედულებას, მოზარდის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. თუ აღმზრდელი, მასწავლებელი დროულად და ნაყოფიერად გამოიყენებს ზემოქმედების აღიარებულ და აღზრდის სწორ მეთოდებს, ეს ასაკიც ისე, როგორც დანარჩენი, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს პიროვნების ფორმირების, მისი სრულყოფისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის.

**ჯ. ბერიშვილი,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ჩვენი სადისკუსიო ტრიბუნა

# ნუ ვიქნებით ძულძრილნი

თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართველ ხალხს მრავალი უბედურება გადაუტანია. მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ქვეყანა, რომელსაც იმდენი რბევა-აწიოკება განეცადოს, როგორც ჩვენს სამშობლოს. ისტორიულ ქარტეხილთა მძვინვარებას ბევრი ძველი ხალხი მოუსპია, მაგრამ ქართველები გადარჩნენ და ეს უნდა ვუმადლოთ, უპირველეს ყოვლისა, ქართველ დედას, რომლის სიცოცხლისუნარიანობა, შვილთმოყვარეობა, ოჯახისა და მეუღლისადმი ერთგულება ყოველთვის სამაგალითო იყო.

ქართველ ქალს თავიდანვე დედობისათვის ამზადებდნენ. ძველებური აღზრდის წესები დაჟინებით შთააგონებდა მას, რომ მის საპატიო მოწოდებას და უმთავრეს ვალდებულებას დედობა წარმოადგენდა. თუ რაინდი სიქველითა და მკლავის ძალით ფასდებოდა, ქალი — კდემამოსილებითა და ჯანსაღ შვილთა გაჩენა-გამოზრდით.

შვილთა სიმრავლე ცხოვრებისეული აუცილებლობა იყო. ოჯახში შრომა ისე იყო ორგანიზებული, რომ დედას შვილოსნობის საშუალება ჰქონდა. „მეძუძურ რძლებს“ ყოველგვარი საქმიანობისაგან ანთავისუფლებდნენ, ისინი, ოჯახის უფროსი დიასახლისის მეთვალყურეობით, ძირითადად ბავშვებზე ზრუნავდნენ. ხალხი გამრავლებას შრომით საქმიანობას უფარდებდა. ქორწილს გვიან შემოდგომით მართავდნენ, ბავშვები, ჩვეულებრივ ზაფხულობით ჩნდებოდნენ, სითბო და ჰაერი მათ ჯანმრთელობას უზრუნველყოფდა. სადაც ზაფხული მეტად ცხელი იყო, ქალები ჩვილი ბავშვებით მთებში ახყავდათ, სწორედ ამ დროს იქ სოფლის საქონელი ძოვდა და უხვად ჰქონდათ ახალი რძე, ნაღები, კარაქი, ხორცი.

ქართველი გლეხები ოდითგანვე მრავალდარგოვან მეურნეობას ეწეოდნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ ბევრი შვილი გაეჩინათ და გაეზარდათ. ქორწინება სახალხო საქმედ იყო მიჩნეული. დაუწერელი ადათი ყველა ნორმალურ ადამიანს ავალდებულებდა ოჯახი დროულად შეექმნა. შინაბერებსა და ბერბიჭებს სოფელი დასცინოდა, შაირებსა და სათრევლ ლექსებს უთხზავდა...

ასე იყო ძველად. დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა. თუმცა ქალის საოჯახო შრომა შემსუბუქდა (ოჯახებში დამკვიდრდა გაზი, სარეცხი მანქანები და სხვა ნაირგვარი მექანიზმები, გვაქვს საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელი), მაგრამ შობადობამ მკვეთრად იკლო. მიზეზი, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, მრავალია. უპირველეს ყოვლისა, დავივიწყეთ კარგი ტრადიცია და ქალებს დედობის სიყვარულს ნაკლებად ვუნერგავთ, ამიტომ დედობა ზოგიერთი მათგანისათვის ზედმეტ ბარგად იქცა. ჩვეულებრივ ვაქებთ საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმულ, მოწინავე ქალებს, მაგრამ იშვიათად გვხვდება კარგ დიასახლისთა და დედათა ქება. ამ ბოლო დროს ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია უმეტესად მრავალშვილიანთა პოპულარიზაციას ეწევა, მაგრამ რა დააშავეს იმ ქალებმა, რომელთაც მხოლოდ სამი-ოთხი კარგად აღზრდილი ბავშვი ჰყავთ? საერთოდ, მრავალშვილიანობა თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ, სამი შვილიც საკმარისია, თუ კი ისინი ყველა ოჯახში გაჩნდება და წესიერად აღიზრდება.

მოუგვარებელია ჩვენთან ქორწინების საკითხიც. ეს ეროვნული საქმე ცალკეულ პიროვნებათა ინიციატივაზეა დამოკიდებული და არავითარი საზოგადოებრივი აზრი, წამახალისებელი პირობები არ არსებობს იმისათვის, რომ ახალგაზრდები დროულად დაქორწინდნენ. კარგი, კეთილმოწყობილი ბინა, მაღალი ხელფასი, მაგრამ ისინი რაღას მოითხოვენ, ერთიც რომ აქვთ, მეორეც, და ოჯახი დღემდე მაინც არ შეუქმნიათ, ასეთ შემთხვევაში ხშირად მოიშველიებენ ხოლმე ქალთა მოკრძალებას, მაგრამ არ ვიცით, რა მიზეზს გამოძებნიან უცოლო ვაჟკაცების გასამართლებლად.

ოჯახის შექმნაზე, მოწიფული ადამიანის ამ უმთავრეს მოვალეობაზე, თითქმის მარტო სადღეგრძელოებშია ლაპარაკი, ხოლო ის კოლექტივები, სადაც დაუქორწინებელნი მუშაობენ, ოდნავადაც არ ინტერესდებიან მათი ბედ-იღბლით. რა თქმა უნდა, აქ რაიმე ადმინისტრირება გამორიცხულია, მაგრამ თბილი, ადამიანური მიდგომით ხომ შეიძლება ბევრმა გადალახოს გაუბედაობის ზღვარი?

ნაკლებად ვზრუნავთ ახლადშექმნილ ოჯახებზეც. თანამშრომელებისაგან ხშირად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას მოვითხოვთ, მისი ოჯახური მდგომარეობა კი ძირითადად დავიწყებული გვაქვს. ძეობაზე თუ დაგვპატიჟეს, მივალთ, მაგრამ იმ ოჯახმა მეორე და მესამე ძეობა რომ გამართოს, ამისათვის პრაქტიკულად არაფერს ვაკეთებთ. ეს ასე არ უნდა იყოს. ახალ მზარდ ოჯახებს ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ, ისინი კოლექტივის, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ზრუნვასა და მხარდაჭერას უნდა გრძნობდნენ. პირველ რიგში ახალი ოჯახები უნდა უზრუნველვყოთ ბინით, შვილებიან ახალგაზრდებს უნდა მივცეთ დაწინაურების, წინსვლის საშუალება და, აქედან გამომდინარე, უკეთ ცხოვრების შესაძლებლობა.

პრესაში აღინიშნა, რომ შობადობის განსაკუთრებით დაბალი დონეა რაჭა-ლეჩხუმში. ეს ფაქტი ძალზე დამაფიქრებელია. წინათ ასე როდი იყო. რაჭის მოსახლეობა თვალსაჩინოდ მრავლდებოდა. რაჭველები ჩრდილო კავკასიაშიც გადადიოდნენ და იქ ეფუძნებოდნენ, დღეს კი რაჭის სოფლები ძალზე ხალხნაკლული გახდა. ზოგან ზამთრობით თითო-ოროლა კაცს თუ იპოვნით, სახლების უმეტესობა დაკეტილია. მხოლოდ ზაფხულობით მოაგარაკენი გააცოცხლებენ იქაურობას და მერე კვლავ აუსმომასწავებელი სიჩუმე გამეფდება.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა საგანგებოდ შეგვესწავლა ერთი იქაური სოფლის ყოფა. ავირჩიეთ ისეთი სოფელი, რომელსაც უხვი ადგილ-მამული და კარგი ბუნებრივი პირობები აქვს. რა თქმა უნდა, დავინტერესდით ახალგაზრდობის საქმიანობით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სოფელში ისინი თითქმის არ არიან. ხუთი წლის მანძილზე საშუალო სკოლის 60 კურსდამთავრებულიდან კოლმეურნეობაში არც ერთი არ მუშაობდა და საერთოდ მათი საქმიანობის შესახებ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. ასევე ხუთი წლის განმავლობაში ჯარიდან 20-მდე კაცი დაბრუნდა, იმათგან მხოლოდ ერთი იყო საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმული.

დასამალი არ არის, რომ მთიანი რაიონების ახალგაზრდობა სოფელს გაურბის. ამის ერთ-ერთი მიზეზია კოლმეურნეობებში დაბალი შრომითი ანაზღაურება, აგრეთვე უგზოობა, სპორტის, კულტურული დასვენების ცუდი ორგანიზაცია. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა უთუოდ ხელს შეუწყობდა ადგილებზე ახალგაზრდობის დარჩენას. დროა თითოეული მათგანისათვის ვიზრუნოთ. ის, ვინც სოფელი დატოვა, ფაქტიურად ბუდემოშლილია, ბუნებრივია, ქალაქს და სხვა რაიონს თავშეფარებული, ოჯახსაც დროულად ვერ შექმნის, აქედან კი შედეგი ერთია — შობადობის დაქვეითება.

ნუ ვიქნებით გულგრილნი, ყველა მიზეზს ეშველება, თუ კი მოვინდომებთ და დავინტერესდებით ცალკეული ადამიანის ბედით.

**ლევან ფრუიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ეთნოგრაფი.**

## ვუპასუხებთ მკითხველებს

„რა ასაკიდან შეიძლება ბავშვს სატელევიზიო გადაცემა ვაყურებინოთ? რა მანძილზე უნდა იყოს ეკრანი? როგორ მოქმედებს ჩართული ტელევიზორი მძინარე თუ მღვიძარე ბავშვზე? რამდენ ხანს შეიძლება ტელეგადაცემების განუწყვეტლივ ყურება? გთხოვთ, გვიპასუხოთ“.

**ვ. ლლონტი,**
**ქ. მახარაძე.**

# ტელეგადაცემების ყურება მხოლოდ სამი წლიდან შეიძლება

პატარა ბავშვის სიყვარული ტელევიზორისადმი უფრო მეტად მისი ცნობისმოყვარეობით აიხსნება, რომელსაც ის იჩენს ყველა საინტერესო ნივთის მიმართ. თვით გადაცემის არსს სამ წლამდე ასაკის ბავშვი, ცხადია, ვერ ჩასწვდება, უბრალოდ ეს გადაცემა ბავშვისათვის იქცევა ძალიან მავნე, მხედველობის, სმენისა და, საერთოდ, ნერვული სისტემის გამაღიზიანებელ, დამქანცველ მოვლენად. ამიტომ ტელეგადაცემები ბავშვს მხოლოდ 3-4 წლიდან შეიძლება ვაყურებინოთ.

ტელეგადაცემები უფროს ბავშვებსაც ქანცავს, მაგრამ თვითონ ისინი ამას ვერ ხვდებიან. მხედველობის დაძაბვა (მით უმეტეს, თუ ეკრანზე გამოსახულება მკაფიო არაა.), ხმაური, ყურადღების მობილიზება — ყველაფერი ეს უკვალოდ არ ჩაივლის ბავშვის ადვილად აღგზნებადი ნერვული სისტემისათვის, ამიტომ, როცა ბავშვი წამოიზრდება და ნებას მისცემთ ტელეგადაცემებს უყუროს, თქვენი კონტროლი მაინც აუცილებლად დასჭირდება.

ბავშვებმა მხოლოდ მისი ასაკისთვის განკუთვნილი გადაცემები უნდა ნახონ: თავისი შინაარსითა და ხანგრძლივობით ეს გადაცემები პატარა ადამიანის აღქმის შესაძლებლობას შეესაბამება.

სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებმა სატელევიზიო გადაცემებს შეიძლება უყურონ არა უმეტეს 20-30 წუთისა, ხოლო უმცროსი ასაკის მოსწავლეებმა — 1 საათის განმავლობაში.

მხედველობა ძალიან რომ არ დაიძაბოს, საჭიროა ეკრანამდე განსაზღვრული მანძილის დაცვა (უკანასკნელ ხანში გამოშვებულ დიდეკრანიანი ტელევიზორიდან არა უახლოეს 1,5 მეტრი, მაგრამ არა უშორეს 4,5-5 მეტრი, მცირეეკრანიან ტელევიზორიდან — არა უახლოეს 1 მეტრი და არა უშორეს 3 მეტრი).

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოთახის განათებასაც. ჩაბნელებულ ოთახში ტელევიზორის ყურება არ არის რეკომენდებული, უმჯობესია, ოთახი ოდნავ განათებული იყოს, ოღონდ ისე, რომ ნათურა ეკრანში არ ირეკლებოდეს.

ცხადია, ტელევიზორი მხედველობას იმას ღლის, ვინც გადაცემებს უყურებს, მაგრამ ხმაური კი ოჯახის ყველა წევრზე დამღლელად მოქმედებს.

ზოგჯერ ფიქრობენ, ხმაური ბავშვზე არ მოქმედებსო. ეს მცდარი აზრია: ბავშვებს ხმაური უფრო ვნებთ, ვიდრე უფროსებს. ამიტომ, თუ თქვენი ოთახი პატარაა, ეცადეთ, რომ ტელევიზორი ზედიზედ რამდენიმე საათს არ ამუშაოთ და ძალიან მაღალ ხმაზე არ ჩართოთ.

როცა ბავშვი დაიძინებს, რა თქმა უნდა, ტელევიზორის ჩართვა შეიძლება (აბა, როდისღა უყურონ მშობლებმა დამშვიდებით გადაცემას!), მაგრამ, რაც შეიძლება, ხმადაბლა.

ბევრს აღელვებს ის საკითხი, მავნებელი ხომ არ არის ჯანმრთელობისთვის ტელევიზორის გამოსხივებაო? სპეციალურმა გამოკვლევებმა ნათელყო: ტელევიზორის გამოსხივება იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჯანმრთელობაზე მავნე გავლენას ვერ იქონიებს.

თვალყური უნდა დავიჭიროთ, რომ ბავშვი არ მიუახლოვდეს ტელევიზორის უკანა დაჩვრეტილ კედელს, თორემ თუ შიგ თითი შეჰყო, უბედური შემთხვევაა მოსალოდნელი.

**პროფესორი ს. გრომბახი,**
**სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.**

# უცხოური იუმორი

## გული

ექიმმა ახალგაზრდა ქალი დიდი გულისყურით გასინჯა და უთხრა:

— ძვირფასო ქალბატონო, ძალიან ჯანმრთელი ხართ. ყველაფერს გავიღებდი იმისათვის, რომ თქვენი გული მქონოდა.

ქალმა უპასუხა:

— სიამოვნებით, ექიმო, მე ჯერ თავისუფალი ვარ.

## არჩევანი

ერთმა ქმარმა გადაწყვიტა ცოლისთვის ესიამოვნებინა, და ჰკითხა:

— მითხარი, ძვირფასო, რა უფრო გირჩევნია. პარიზში მოგზაურობა თუ ქურქი?

ცოლი დაფიქრდა და უპასუხა:

— რა თქმა უნდა, პარიზში მოგზაურობა.

და მაშინვე დაუმატა:

— იცი, ძვირფასო, იქ, პარიზში ქურქები ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან.

## ცუდი მძღოლი

ერთ კაცს ქუჩაში ძალიან მოწყენილი მეგობარი შემოხვდა:

— რა დაგემართა? — ჰკითხა მან.

— ოჰ, ნუღარ მკითხავ! მანქანის ავარია მომიხდა და ცოლი გაშორებას მთხოვს.

— რატომ, ცუდად დაგყავს მანქანა?

— არა. ავარიის დროს მანქანაში ლამაზი ქალიშვილი მეჯდა.

## ტელეფონთან

— ალო, ექიმო, საჩქაროდ მოდით, ჩემს ცოლს ბრმა ნაწლავის ოპერაცია სჭირდება.

— შეუძლებელია, მეგობარო, თქვენს ცოლს სამი წლის წინ გავუკეთე ოპერაცია, და მე არასოდეს არ შემხვედრია ქალი ორი ბრმა ნაწლავით.

— კი მაგრამ არც ისეთი კაცი გინახავთ, მეორე ცოლი რომ ჰყავდეს?

## ინტერვიუ

დიდი პრემიერის წინ რადიო გადასცემდა ახალგაზრდა მომღერალი ქალის ინტერვიუს. შეკითხვის შემდეგ კომენტატორმა ჰკითხა:

— და რას ფიქრობთ, საერთოდ, მამაკაცებზე?

— ო, ბევრ კარგს...

— თქვენ მოგწონთ მათი საზოგადოება?

— ო, ჯერჯერობით ერთი საკმარისია ჩემთვის.

## ქორწინება

ერთმა კაცმა ცოლი ითხოვა და თავის მეგობარსაც დაჟინებით სთხოვდა იგივე ნაბიჯი გადაედგა.

— არა, ძმაო, მე ძალიან მეშინია დამონების, — უპასუხა მეგობარმა.

— ჰოდა, ამიტომ შენ სწორედ ისეთი ცოლი გჭირდება, როგორიც ჩემია: წყნარი, ლმობიერი და შესანიშნავი დიასახლისი.

— ძალიან კარგი, — მიუგო მეგობარმა, — მაშინ დაველოდები, სანამ შენი ცოლი დაქვრივდება.

ფრანგულიდან თარგმნა

ნელი გასიშვილმა



# „დაისი"

დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი ღირსეულად აღნიშნა ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" — მაყურებელმა გულითადად მიიღო კინორეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის მიერ ეკრანიზებული ოპერა „დაისი".

ეკრანიდან ჩვეული ოსტატობით გვხიბლავენ კინომსახიობები ო. კობერიძე — კიაზო (მღერის თ. ზეინკლიშვილი), ზ. ქაფიანიძე — ცანგალა (მღერის ირ. მუშანია), გ. ბერიკაშვილი — ტიტო (მღერის გ. ტორონჯაძე), გვახარებენ ახალგაზრდა მსახიობები: ნ. ყიფიანი — მარო (მღერის მ. ამირანაშვილი), ქ. მარადაშვილი — მალხაზი (მღერის ზ. ანჯაფარიძე), დ. თუშიშვილი — ნანო (მღერის თ. გურგენიძე) და სხვ.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე კადრს ფილმიდან.

გარეკანის პირველ გვერდზე — ახალგაზრდა კინომსახიობი ნ. ყიფიანი; მეოთხე გვერდზე — ილუსტრაცია „ამირანდარეჯანიანისათვის, მხატვარი ცინარა ტერელაძე.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. ზალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი კორექტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 18/XI-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-71 წ. ქაღალდის ზომა 60X90$^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5.3

ტირაჟი 123.260. შეკვ. 4006. უე 02253. ფასი 30 კაპ.

ქადრები ფილმიდან ,,დაისი". ფოტო ს. სულავასი.

















გარეკანის პირველ გვერდზე და ოცდამეოთხე გვერდზე ფერადი ფოტო-სლაიდები ლ. სილკინისა.



ИНДЕКС 76178